თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი

ნინო მღებრიშვილი

covid-19 პანდემიის გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე

წარმოდგენილია მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი, საქართველო

ივლისი 2021 წელი

ხელმოწერის გვერდი

,, თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი", ბიზნესის სკოლა „ბიზნესის ადმინისტრირება"

,,ჩვენ, ქვემეორე ხელისმომწერნი ვადასტურებთ, რომ გავეცანით ნინო მღებრიშვილი - ის მიერ შესრულებულ ნაშრომს დასახელებით: „covid-19 პანდემიის გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე." და ვაძლევთ რეკომენდაციას განხილულ იქნას თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლის საგამოცდო კომისიის მიერ მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად".

თარიღი: _____

ხელმძღვანლის ხელმოწერა: _____

რეცენზენტის ხელმოწერა: _____

ავტორის ხელმოწერა: _____

რეზიუმე

დღევანდელობაში მთელი მსოფლიო უდიდესი გამოწვევის წინაშე დგას. covid - 19 პანდემია მსოფლიოს ყველა ქვეყნის და მათ შორის საქართველოს ეკონომიკისთვისაც მოულოდნელ გამოწვევად მოგვევლინა, მისი მასშტაბიც უახლესი ისტორიის განმავლობაში უპრეცენდენტოა.

მსოფლიოს ჯერ არ ჰქონია ასეთი გამოცდილება, რომ ეკონომიკური კრიზისი დაწყებული იყოს ვირუსის პრობლემებიდან გამომდინარე. აქამდე იყო ე.წ. ღორის გრიპის და ქათმის გრიპის გავრცელების გამოცდილება , თუმცა ის არ გადაზრდილა მსგავსი ტიპის კრიზისებში. აღსანიშნავია, რომ კორონა ვირუსის პანდემია დაიწყო ჩინეთში და მსოფლიო ფაბრიკად წოდებულმა ქვეყანამ დაიწყო საწარმოების დახურვა. შემდეგ იმის შიშით, რომ ვირუსი არ გავრცელდეს დასავლეთ ევროპაში , დაიწყეს გარკვეული ტიპის საკარანტინე ზომების გამოყენება, რამაც თავის მხრივ შეამცირა მოთხოვნა სამომხმარებლო პროდუქციაზე. იგივე განმეორდა აშშ-ში. მივიღეთ კრიზისი, რომელიც წარმოიშვა მიწოდების მხრიდან. ადრე კრიზისები წარმოიშვებოდა ხოლმე მოთხოვნის მხრიდან, ანუ მოთხოვნის სიმცირის გამო მცირდებოდა მიწოდება. ახლა მიწოდება აღარ ხდება, რამაც წარმოშვა კრიზისი.

წინამდებარე კვლევაში აღნიშნულია ფაქტები თუ როგორი გავლენა იქონია პანდემიამ საქართველოს ეკონომიკაზე, რა ღონისძიებები გატარდა პანდემიის შესაჩერებლად და ეკონომიკის ასაღორძინებლად. რამდენად მზად იყო ქვეყნის ეკონომიკური სისტემა სიახლეებისთვის და მითუმეტეს კრიზისისთვის. რა მნიშვნელოვანი და კონკრეტული თემები იქნა გამოყოფილი ხელისუფლების მხრიდან. პრობლემების უკეთესად წარმოჩენისთვის ნაშრომში შედარებულია ბოლო 8 წლის მონაცემები, კონკრეტულად რა უარყოფითი გავლენა ქონდა პანდემიას და რა კუთხით შეიძლება ამ პრობლემების გადაჭრა. ამასთანავე, კვლევა ჩატარდა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რგოლისა ეკონომიკისთვის, დასაქმების შესახებ.

Resume

Today the whole world is facing the biggest challenge. covid - 19 pandemics have been an unexpected challenge for the economy of all countries of the world, including Georgia, and its scale is unprecedented in recent history.

The world has not yet had such an experience that the economic crisis has started due to the problems of the virus. Until now, there was a so-called Experience with the spread of swine flu and chicken flu, however, has not evolved into similar types of crises. It is noteworthy that the Corona virus pandemic started in China and the country called the world factory started to close its enterprises. Then, fearing that the virus would spread to Western Europe, they began to use certain types of quarantine measures, which in turn reduced the demand for consumer products. The same thing happened in the US. We got a crisis that arose from the supply side. In the past, crises were often caused by demand, ie supply was reduced due to lack of demand. Delivery is no longer taking place, which has given rise to a crisis.

The present study discusses the facts about the impact of the pandemic on the Georgian economy, what measures were taken to stop the pandemic and revive the economy. How ready the country's economic system was for the news and especially for the crisis. What important and specific topics were allocated by the government. To better illustrate the problems, the paper compares data from the last 8 years, specifically what negative impact the pandemic had and in what ways these problems can be solved. In addition, research was conducted on one of the most important links for the economy, employment.

სარჩევი

შესავალი 3

1. პანდემიის დასაწყისი 5

2. პანდემიის მართვა, მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებებები……..... 12

3. ინვესტიციები რეგიონებში 18

4. ეკონომიკა და დასაქმება 20

5. პანდემიის ფონზე შეცვლილი სოციალური და ტექნოლოგიური გამოწვევები.....28

5.1 სოციალური.....28

5.2. ტექნოლოგიური 29

6. ეკოლოგია და ეკონომიკა _ გარემოს დაცვა.....31

7. ვაქცინაცია.....33

8. ქვეყნის ეკონომიკა 2013-2020წწ.....41

დასკვნა 49

ბიბლიოგრაფია .....……..……...52

შესავალი

2019 წლის 31 დეკემბრიდან მთელს მსოფლიოში სწრაფად გავრცელდა ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული დაავადება (COVID-19) მას შემდეგ, რაც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში (შემდეგში - ჩინეთი), ჰუბეის პროვინციის ქალაქ ვუჰანში ვირუსის პირველი შემთხვევები დაფიქსირდა. 2020 წლის მარტის დასაწყისიდან, ახალი კორონავირუსით დაზარალებული ქვეყნების რაოდენობამ 190-ს გადააჭარბა. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ 2020 წლის 30 იანვარს ვითარება საერთაშორისო საზოგადოებრივი ჯანმრთელობის საგანგებო მდგომარეობად გამოაცხადა, ხოლო 11 მარტს პანდემიად შეაფასა.

საქართველოს მთავრობას 2020 წლის 6 იანვარს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ წარედგინა ჯერ კიდევ უცნობი ვირუსის ჩინეთში მიმდინარე ეპიდაფეთქების შესახებ ინფორმაცია, რასაც საქართველოს მთავრობის მხრიდან მოჰყვა დროული და კონკრეტული ღონისძიებების შემუშავება, აგრეთვე, სხვა ქვეყნების პრაქტიკის შესწავლის დაწყება და მათ გამოცდილებაზე უწყვეტი დაკვირვება. COVID-19-ის ფართოდ გავრცელების პირველივე დღეებიდან, საქართველოს ხელისუფლებამ დაიწყო ბრძოლა ორი მიმართულებით - მოქალაქეების ჯანმრთელობისა და სიცოცხლის და ეკონომიკის გადასარჩენად. ამიტომ, ყველა ის ნაბიჯი, რომელსაც მთავრობა დგამს, განპირობებულია უპირველესად ადამიანების ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაცვის მიმართულებით სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულების შესრულებისა და ეკონომიკის გადარჩენის მოტივაციით. შესაბამისად, საქართველოს მთავრობა ვირუსის გავრცელების პრევენციის პარალელურად, პანდემიის შედეგების შემსუბუქების მიზნით, უზრუნველყოფს მოქალაქეების სოციალურ მხარდაჭერას, მეწარმეების დახმარებას, ეკონომიკის ხელშეწყობას და ამასთან, საერთაშორისო პარტნიორებთან ინტენსიურ მუშაობას, კრიზისის შედეგების მაქსიმალური შემცირების მიზნით აუცილებელი ფინანსური ნაკადების მოზიდვისთვის. საქართველოში ინფიცირების პირველი შემთხვევის დადასტურებიდან მიმდინარეობს ვირუსის გავრცელების მაჩვენებლისა და სხვა ეპიდემიოლოგიური პარამეტრების მუდმივი კონტროლი.

ახალ ინფექციას ტალღოვანი მიმდინარეობა ახასიათებს, კერძოდ, პერიოდულად ხდება ინფიცირების შემთხვევების მატება და შემდეგ კვლავ კლება და ამ ფაქტს სხვა ქვეყნების მაგალითებიც აჩვენებს. დღეს საქართველოს მთავრობისთვის მნიშვნელოვანი ამოცანაა ვირუსის შეკავების პოზიტიური შედეგის შენარჩუნება, რათა შეზღუდვების შემსუბუქებას ქვეყანაში ვირუსის გავრცელების შემდეგი ტალღა

არ მოჰყვეს. ამ პროცესში კრიტიკულად მნიშვნელოვანი იქნება საზოგადოების მხრიდან რეკომენდაციების შესრულება და წესების ზედმიწევნით დაცვა.

2020-21 წელი პანდემიამ ჯანდაცვასთან დაკავშირებული გამოწვევების გარდა, ეკონომიკური თვალსაზრისითაც მძიმე წლად აქცია. Covid 19-ით გამოწვეული ეკონომიკური შედეგების დათვლა და პროგნოზების გაკეთება როგორც მსოფლიოს, ისე საქართველოს მასშტაბით ჯერ კიდევ 2020 წლის გაზაფხულზე დაიწყო. 2020 წლის ბოლოსთვის ეს ეფექტი კიდევ უფრო გამოიკვეთა და შესაძლებელი გახდა მეტ-ნაკლებად კონკრეტული ციფრებით გამოიხატოს მისი გავლენა ქვეყნის ეკონომიკაზე, მათ შორის რეგიონების ეკონომიკაზე, შესაბამისად, პროგნოზები და რეკომენდაციებიც უფრო რეალურია.

1. პანდემიის დასაწყისი.

საქართველოში ახალ კორონავირუსთან ეფექტიანი და კოორდინირებული ბრძოლის მიზნით, 28 იანვარს შეიქმნა უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო. საბჭო ჩამოყალიბდა როგორც კორონავირუსთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილების მიმღები ძირითადი პლატფორმა, რომელიც შედგება მთავრობის წევრების, პარლამენტის წევრების, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის და სამედიცინო სფეროს წარმომადგენლებისგან. საბჭოს პირველი სხდომის შემდეგ, მთავრობამ საზოგადოებას COVID-19-თან ბრძოლის პროცესში 4 პრიორიტეტული მიმართულება და თითოეულ მიმართულებაზე პასუხისმგებელი პირი წარუდგინა:

1. ჯანდაცვა - მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაცვა;

2. ეკონომიკა - გლობალური ეკონომიკური კრიზისის ფონზე საქართველოს ეკონომიკის მართვა და აღდგენა;

3. უსაფრთხოება - მოქალაქეთა დაცვა;

4. მარაგები და ლოჯისტიკა - მოსახლეობის სურსათით უწყვეტი უზრუნველყოფის მართვა.

პანდემიასთან ბრძოლის პირველი ეტაპის ფარგლებში, საქართველოში COVID-19-ის პირველი შემთხვევის დადასტურებამდე, ვირუსის იმპორტირების მაქსიმალური პრევენციის მიზნით, გატარდა მთელი რიგი ღონისძიებები.

საქართველოში პირველი შემთხვევის დაფიქსირების შემდეგ მიმდინარეობდა ახალი შემთხვევების, კლასტერებისა და მათთან ასოცირებული კონტაქტების მოძიება, ეპიდზედამხედველობა, იზოლირება, კარანტინი, დიაგნოსტირება და მკურნალობა. პარალელურად მოსახლეობას სისტემატურად მიეწოდებოდა ინფორმაცია საერთაშორისო დონეზე შემუშავებული რეკომენდაციების შესახებ. თუმცა, აღნიშნული ღონისძიებების მიუხედავად, ქვეყანაში ვირუსის გავრცელების ინტენსივობა მზარდი ტემპით პროგრესირებდა. პირველი დადასტურებული შემთხვევიდან (26 თებერვალი) 16 მარტამდე საქართველოში უკვე 33 დადასტურებული შემთხვევა იყო, აქედან 2 - ირანში, 1 - ესპანეთში და 12 - იტალიაში მოგზაურობასთან დაკავშირებული. 10 შემთხვევა დაკავშირებული იყო დადასტურებული შემთხვევის კონტაქტებთან, ხოლო 2 შემთხვევა დადასტურდა კარანტინიდან, სადაც ამ დროისთვის 637 პირი იმყოფებოდა.

მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების ანალიზმა ნათლად აჩვენა, რომ პანდემიის პირობებში განვითარებული ქვეყნების ჯანდაცვის სისტემებიც კი უდიდესი გამოწვევის წინაშე აღმოჩდნენ. შესაბამისად, საქართველოს ჯანდაცვის სისტემის

მომზადება და მისი გადატვირთვით გამოწვეული შესაძლო კოლაფსის თავიდან აცილება ადრეულ ეტაპზე მთავრობის კრიტიკული მნიშვნელობის პრიორიტეტად განისაზღვრა. აღნიშნულის მისაღწევად კი აუცილებელი იყო ჯანდაცვის სისტემის პანდემიის წინააღმდეგ მიმართულ რეჟიმზე გადაყვანა. აღნიშნული ამოცანის შესრულება მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენდა მთელი მსოფლიოსათვის. მისი მიღწევის პროცესში რთულ დაბრკოლებებს გადააწყდნენ ეკონომიკურად და რესურსებით კარგად უზრუნველყოფილი სახელმწიფოებიც. საყოველთაო გამოწვევას წარმოადგენდა შესაბამისი ადამიანური და მატერიალური რესურსების დროული და სწორი მობილიზება. COVID-19-ის საპასუხო ღონისძიებების დაგეგმვას საფუძვლად დაედო ჯანდაცვის სისტემის არსებული სიმძლავრეებისა და ეპიდემიის გავრცელების მოდელირების ინსტრუმენტით მომზადებული სცენარების ანალიზი. ზემოხსენებული სცენარები ცალსახად მიუთითებდა, რომ სოციალური დისტანცირების ზომების გარეშე საქართველოს ჯანდაცვის სისტემა ვერ გაუმკლავდებოდა ერთდროულად სისტემაში 2000 ან 3000 ინფიცირებულის დღიურ ნაკადს, ისევე, როგორც ეს ვერ შეძლეს ევროპის მაღალგანვითარებულმა ქვეყნებმა.

სამინისტრომ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ეროვნულ ცენტრთან და ექსპერტების ჯგუფთან თანამშრომლობით გააანალიზა სამი სხვადასხვა მეთოდით გაკეთებული პროგნოზული გათვლები, რომლების მიხედვითაც სოციალური დისტანცირებისა და შემაკავებელი ღონისძიებების გარეშე: 1) პენსილვანიის COVID-19 Hospital Impact Model for Epidemics-ის მეთოდით ეპიდემიის პიკი დადგებოდა პირველი შემთხვევის დაფიქსირებიდან 12-13 კვირაში ჰოსპიტალიზაციის დაახლოებით 5950 შემთხვევით პიკის ფაზაში; 2) ბაზელის უნივერსიტეტის (შვეიცარია) მიერ შემუშავებული მათემატიკური მოდელირების ტენდენციის სცენარით 13-14 კვირას ჰოსპიტალიზაციის 5100 შემთხვევით; ხოლო 3) გრიპების პანდემიისთვის აშშ-ის დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრების FluSurge 2.0 მეთოდოლოგიით, პანდემიის პიკი დადგებოდა მე5-7 კვირას ჰოსპიტალიზაციის 2 381 შემთხვევით. სამივე მოდელში ჰოსპიტალიზაციის მაჩვენებელი მოიცავს მხოლოდ მძიმე პაციენტების ჰოსპიტალიზაციას, რაც იმას ნიშნავს, რომ ინფიცირებულთა ჯამური რაოდენობა ბევრად მეტი იქნებოდა. მოდელირებამ ასევე აჩვენა, რომ სოციალური დისტანცირებისა და შეზღუდვების 20%-იან გამკაცრებას მოჰყვებოდა პიკის მე-17 კვირაზე გადანაცვლება და ჰოსპიტალური შემთხვევების რაოდენობის 4 174-დან 2 656-მდე შემცირება, ხოლო 30%-იან გამკაცრებისას კი ეპიდემია მოსალოდნელი იყო 22-ე კვირას ჰოსპიტალიზაციის 1 418 შემთხვევით. რაც შეეხება ჯანდაცვის სისტემას, საქართველოს ჯანდაცვის სისტემის ანალიზის მიხედვით, ქვეყანაში სულ ფუნქციონირებს 297 სტაციონალური დაწესებულება (86% კერძო) 17 514 საწოლით. ამასთან, ონკოლოგიის, ფსიქიატრიული, სამშობიარო და

სხვა ვიწრო სპეციალიზირებული კლინიკების საწოლების გამოკლებით, რჩება 10 000-ზე ოდნავ მეტი საწოლი. აქედან, ინტენსიური თერაპიისა და გადაუდებელი სერვისებისთვის განკუთვნილია 2 290 საწოლი, ხოლო რესპირატორული დისტრეს სინდრომის მართვისთვის შესაფერისია 1 749 სასუნთქი აპარატი. საწოლები და აპარატები განკუთვნილია ყველა დიაგნოზით საავადმყოფოში მოთავსებული პაციენტებისთვის, შესაბამისად, მათი ნახევარი მუდმივად დაკავებულია. გარდა ამისა, საქართველოს კლინიკებში სულ დასაქმებულია 488 რეანიმატოლოგი და 256 ინფექციონისტი. აღნიშნულ პერსონალს ერთდროულად დღეში მხოლოდ 1200 და 853 პაციენტის მომსახურება შეუძლია და ამასთან, აღნიშნულ რაოდენობაში შედის ყველა ტიპის პაციენტი. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მაქსიმალური სოციალური დისტანცირება და მობილობის შეზღუდვა განისაზღვრა როგორც ერთადერთი ქმედითი გამოსავალი კოვიდ-19-ზე სათანადო რეაგირებისთვის. სწორედ აღნიშნული მტკიცებულებები და პროგნოზები დაედო საფუძვლად ქვეყნის მიერ კოვიდის შემთხვევებთან ბრძოლის პოლიტიკას, რამაც მოიტანა ვირუსის უპრეცენდენტოდ დაბალი გავრცელება და ნაკლები ადამიანური დანაკარგები.

საგანაგებო მდგომარეობა და შეზღუდვები : საჰაერო და სახმელეთო მიმოსვლის შეზღუდვა, სასწავლო პროცესის შეჩერება და დისტანციურ რეჟიმზე გადასვლა, ავტომობილით გადაადგილების აკრძალვა, მკაცრი კარანტინი ცალკეულ მუნიციპალიტეტებში, საზოგადოებრივი ტრანსპორტის შეზღუდვა, შეზღუდვები პენიტენციურ დაწესებულებებში, კომენდანტის საათი, 10/3 - ზე მეტი ადმიანის თავშეყრის შეზღუდვა, დიდ ქალაქებში შესვლა-გასვლის შეზღუდვა, ეკონომიკური საქმიანობების შეზღუდვა - ეს ნაბიჯები იქნა გამოყენებული პანდემიის წინააღმეგ საბრძოლველად.

2. პანდემიის მართვა, მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებები.

2.1. მთავრობის მიერ განხორციელებული ღონისძიებების ჩამონათვალი : შეიქმნა საიტი -

https://stopcov.ge . ასევე ცხელი ხაზი : 144.

ბოლო მაჩვენებლები დღეის მდგომარეობით 27.06.2021

- კორონავირუსის დადასტურებული შემთხვევა - 363 522 , ბოლო 24 საათში - 585
- მათ შორის გამოჯანმრთელებული - 349 658 , ბოლო 24 საათში - 953
- მათ შორის გარდაცვლილი - 5 266 , ბოლო 24 საათში - 11
- ბოლო 24 საათში ჩატარებული კვლევა ტესტით - 22 073,
  მათ შორის ანტიგენის სწრაფი ტესტით - 9 972, PCR ტესტით - 12 101
- დადებითობის მაჩვენებელი: დღიური - 2,65%, ბოლო 14 დღის - 2,49%, ბოლო 7 დღის - 2,33%
- სულ აცრილია - 253 988, დღიურად აცრილია - 2 267
- კარანტინის რეჟიმში - 40
- სტაციონარში მეთვალყურეობის ქვეშ - 2 576
- კლინიკურ სასტუმროში მყოფი პირები - 598

მთავრობამ გაატარა რიგი ღონისძიებები, მათ შორის :

2.2. ემიგრანტების დახმარება და სამშობლოში დაბრუნება

მსოფლიოში COVID-19-ის გლობალური პანდემიის შედეგად შექმნილი რთული ვითარების გამო, აუცილებელი გახდა უცხო ქვეყნების მიერ მიღებული შეზღუდვების მიზეზით უცხოეთში დარჩენილი საქართველოს მოქალაქეების დაბრუნება და ადგილებზე დახმარების გაწევა. ჯამში, 22 მაისისთვის სახელმწიფომ

დააბრუნა 12 720 საქართველოს მოქალაქე, მათ შორის საჰაერო გზით - 7 107, სახმელეთო გზით - 5 223 და საზღვაო გზით - 390 ადამიანი. დაბრუნებულთა შორისაა ქრონიკული დაავადების მქონე 483 პირი, 34 - შშმ პირი, 259 - ხანდაზმული, 102 - ორსული, 435 - მცირეწლოვანი, 173 - ონკოლოგიური პაციენტი, 1 118 - ტრანზიტული მგზავრი, 29 - მეზღვაური და სხვა განსაკუთრებული საჭიროების მქონე 90 პირი. აგრეთვე, საცხოვრებლისა და სტიპენდიის გარეშე დარჩენილი 794 სტუდენტი (საერთო ჯამში განსაკუთრებული საჭიროების მქონე - 3 517 მოქალაქე). აღსანიშნავია, აშშ-ს მთავრობასთან თანამშრომლობით, აშშ-დან განხორციელებული სპეც. რეისი, რომელმაც უზრუნველყო სამშობლოში 79 ქართველი მოსწავლის და სტუდენტის და სომხეთის მოქალაქე 35 ბავშვის დაბრუნება. გარდა ამისა, ადგილზე დახმარება გაეწია უცხოეთში მყოფ - 21 190 მოქალაქეს, მათ შორის, საცხოვრებლის გარეშე დარჩენილთა თავშესაფრით უზრუნველყოფის, საკვების, მედიკამენტების, ასევე სხვა პირველადი და აუცილებელი საჭიროების პროდუქტების და მომსახურების მიწოდების გზით. ასევე, საქართველოში დასაბრუნებელი მოწმობის გაფორმებისას, მოქალაქეები გათავისუფლდნენ საკონსულო მოსაკრებლის გადახდის ვალდებულებისაგან. განხორციელდა 74 ავიარეისი მსოფლიოს 27 ქვეყნიდან, მათ შორის ჩინეთი, ირანი, იტალია, გერმანია, საბერძნეთი და ა.შ. განხორციელებულ ფრენებს შორის - 33 პირდაპირი რეისი შეასრულა ავიაკომპანია „საქართველოს ავიახაზებმა“. 22 მაისის მდგომარეობით, კორონავირუსით ინფიცირებული იყო საზღვარგარეთ მყოფი საქართველოს 118 მოქალაქე, უმრავლეს შემთხვევებში სახეზეა დაავადების ნაკლებად მძიმე ფორმები. ინფექციით საზღვარგარეთ გარდაიცვალა საქართველოს 16 მოქალაქე (ავსტრია - 1, ესპანეთი - 4, თურქეთი - 1, ბრიტანეთი - 2, აშშ - 5, საფრანგეთი - 2, ლატვია - 1).

2.3. პირბადეების და სადეზინფექციო ხსნარების წარმოება

პანდემიის საწყის ეტაპზე პირბადეებთან დაკავშირებით შექმნილი გლობალური დეფიციტის პირობებში, რომელიც მოიცავდა როგორც მზა პირბადეების, ისე მასალის მკვეთრ დეფიციტს, მნიშვნელოვანი იყო ისეთი გამოსავლის მოძებნა, რომელიც უზრუნველყოფდა პრობლემის გადაჭრას რამდენიმე მიმართულებით: 1) მიწოდების უწყვეტობა; 2) გარე ფაქტორებზე მინიმალური დამოკიდებულება; 3) მოკლე ვადაში კრიტიკულად გაზრდილი მოთხოვნის დაკმაყოფილება. დოლბანდის მრავალჯერადი პირბადის ადგილობრივი წარმოება წარმოადგენდა ამ გამოწვევის ოპტიმალურ გადაწყვეტას. ლუგარის ლაბორატორიის მიერ ტექნოლოგიისა და დიზაინის დადასტურების შემდეგ, განხორციელდა დოლბანდის ადგილობრივი მარაგების შესყიდვა, პარტნიორ ქვეყნებში ნედლეულის მოძიება, საქართველოში

მისი იმპორტი და ადგილობრივი სამკერვალო კომპანიების დაკონტრაქტება. ჯამურად 14-მა კომპანიამ და 900-ზე მეტმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა პირბადეების წარმოებაში. დოლბანდის პირბადის მრავალჯერადმა გამოყენებამ შექმნა კრიტიკული დეფიციტის შედარებით სწრაფად დაკმაყოფილების საშუალება. მეზობელ ქვეყნებში საქართველოს დიპლომატიური მისიების ჩართულობით განხორციელდა დოლბანდის საჭირო მარაგების მობილიზება, რამაც უზრუნველყო წარმოების პროცესის უწყვეტობა. ჯამში, საანგარიშო პერიოდში სულ ნაწარმოებია 4,787,111 პირბადე, ხოლო დარიგებულია - 2,761,990, აქედან, საცალო ქსელში - 1,828,850; რეგიონებში - 474,300; პენსიონერებისთვის - 80,500, საგარეო საქმეთა სამინისტროსთვის (საელჩოები) - 35,300, კერძო სექტორისთვის (მაღაზიები, დისტრიბუცია, კომუნიკაცია) - 85,650. ამ ეტაპისთვის წარმოებაში ჩართულია 13 საწარმო. ასევე, ხელი შეეწყო სადეზინფექციო სითხეების წარმოებასაც და ქართული კომპანიების წარმადობის გათვალისწინებით, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება აღნიშნული პროდუქციის ექსპორტის შეზღუდვის მოხსნაზეც. მარტიდან მნიშვნელოვნად გაიზარდა ახალი საწარმოების და დარეგისტრირებული პროდუქტების რაოდენობა. ამ პერიოდში წარმოების დასაწყებად ლუგარის ლაბორატორიას მიმართა 56- მა კომპანიამ, 60 სხვადასხვა პროდუქტის რეგისტრაციისთვის. მარტამდე მხოლოდ 10 კომპანია აწარმოებდა რეგისტრირებულ სადეზინფექციო საშუალებებს. ამჟამინდელი წარმოების ჯამური მოცულობა დაახლოებით შეადგენს 4,000 ტონას თვეში.

2.4. STOPCOV ფონდი

კოვიდ19-თან ბრძოლაში, საქართველოში მოქმედი კომპანიების ნაწილმა და ფიზიკურმა პირებმა გამოთქვეს სახელმწიფოსთან სოლიდარული თანამშრომლობისა და ფინანსური რესურსის გამოყოფის სურვილი. კერძო სექტორის ამ ინიციატივის განხორციელების მიზნით, საქართველოს ბიზნეს-ომბუდსმენის აპარატში შეიქმნა შესაბამისი პლატფორმა, რომლის ფარგლებშიც დაარსდა STOPCOV ფონდი, სადაც, როგორც ყველა კომპანიას, ისე ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია ვირუსთან ბრძოლაში საკუთარი წვლილის შეტანა. StopCoV ფონდში მობილიზებული თანხები მიემართება ყველაზე კრიტიკული საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. თანხის გადანაწილების პროცესი გამჭვირვალეა და თანხა იხარჯება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. StopCov ფონდში, 2020 წლის 1 ივნისის მდგომარეობით, ჩარიცხულია 133 121 907 ლარი. შემოწირულობა განახორციელა ჯამში 6 968 სუბიექტმა, მათ შორისაა 1 673 ფიზიკური პირი; 1 410 კერძო კომპანია; 660 საჯარო დაწესებულება და სსიპ ; 125 ააიპ და 3 100 სხვა შემომწირველი. StopCov ფონდში 1 მილიონი ან მეტი ლარი შემოწირულობა

განახორციელეს: 1. ბიძინა ივანიშვილი - 100 მლნ ლარი; 2. მაგთიკომი - 3 მლნ ლარი; 3. სილქნეტი - 1,4 მლნ ლარი; 4. დავით ხიდაშელი - 1,2 მლნ ლარი; 5. არ ემ ჯი - 1 მლნ ლარი; 6. კავკასუს ონლაინი - 1 მლნ ლარი; 7. ირაკლი გილაური - 1 მლნ ლარი; 8. შოთა შალელაშვილი - 1 მლნ ლარი.

2.5. ანტიკრიზისული პოლიტიკა მთავრობისგან

პანდემიის დაწყების დღიდან, საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ერთი მხრივ, გულისხმობდა ვირუსის გავრცელების პრევენციისთვის საჭირო ნაბიჯების გადადგმას და ეკონომიკური საქმიანობის უსაფრთხოების მაღალი სტანდარტების შესაბამისად წარმართვას, ხოლო მეორე მხრივ, ვირუსის გავრცელებით განპირობებული უარყოფითი გავლენის შემცირებას და ამ მიზნით, კერძო სექტორისა და მოქალაქეების მხარდაჭერას. შესაბამისად, ამოსავალ პრინციპს წარმოადგენდა ბალანსის დაცვა ადამიანების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უზრუნველყოფასა და ეკონომიკაზე ნეგატიური გავლენის შემცირებას შორის. მთავრობის მიერ შემუშავებული ანტიკრიზისული გეგმის ამოსავალი პრინციპია არსებული შეზღუდული რესურსებით რაც შეიძლება მეტი ადამიანის და ბიზნესის მაქსიმალური მოცვა, რათა სახელმწიფოს დახმარება შეძლებისდაგვარად მიიღოს ყველამ, ვინც პანდემიის შედეგად დაზარალდა. ვინაიდან შექმნილმა ვითარებამ გავლენა იქონია როგორც ქვეყნის მოქალაქეების დიდ ნაწილზე, ისე კომპანიებზე, სახელმწიფომ შეიმუშავა ანტიკრიზისული პაკეტი, რომელიც მაქსიმალურად მორგებულია არსებულ გამოწვევებზე. ანტიკრიზისული პაკეტით გათვალისწინებული ღონისძიებები 2 ეტაპად განხორციელდა. პირველი ეტაპი იყო გადაუდებელი დახმარება, რომლის განხორციელება მარტში (ჯერ კიდევ საგანგებო მდგომარეობამდე) დაიწყო, ხოლო მეორე ეტაპი უფრო მასშტაბურ ღონისძიებებს მოიცავს და მისი წარდგენა აპრილში მოხდა. ე.წ. ჰორიზონტალური ღონისძიებების გარდა, ასევე შემუშავდა და საზოგადოებას წარედგინა სოფლის მეურნეობის, ტურიზმის და დეველოპერული მიმართულებების აღდგენისა და განვითარების კონკრეტული გეგმები, რომელთა მიხედვით მთავრობა აღნიშნულ სექტორებში არსებულ კომპანიებს და დასაქმებულებს მნიშვნელოვან მხარდაჭერას სთავაზობს. გარდა ამისა, წარმოდგენილ იქნა კონკრეტული ღონისძიებები განათლების მიმართულებით (დანართი 6). ეფექტიანი ანტიკრიზისული და პოსტკრიზისული ღონისძიებების შედეგად, საქართველოს მთავრობის მიზანია ეკონომიკის სწრაფი აღდგენის პროცესის მხარდაჭერა. საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგნოზით 2021 წელს საქართველოს ეკონომიკა, მთავრობის მიერ გატარებული ეფექტიანი ღონისძიებების ხელშეწყობით 4%-ით გაიზრდება.

2.6.ზრუნვა მოქალაქეებზე

· მოქალაქეებს დაუფინანსდათ 3 თვის კომუნალური გადასახადი - დახმარება შეეხო იმ აბონენტებს, რომელთა მიერ ელექტროენერგიის ყოველთვიური მოხმარება 200 კილოვატზე ნაკლებია, ხოლო ბუნებრივი აირის ყოველთვიური მოხმარება - 200 მ3-ზე ნაკლები. დაფინანსება აგრეთვე მოიცავს დასუფთავების და წყლის გადასახადსაც. სუბსიდირების აღნიშნული მექანიზმი სხვა ალტერნატივებთან შედარებით ყველაზე სამართლიანი და მიზნობრივია. ელექტროენერგიის გადასახადის შეღავათის ბენეფიციართა რაოდენობამ საშუალოდ 3 თვის განმავლობაში 1.2 მილიონზე მეტი აბონენტი შეადგინა, ხოლო ბუნებრივი აირის გადასახადის შეღავათის ბენეფიციართა რაოდენობამ საშუალოდ 3 თვის განმავლობაში - 670 ათასზე მეტი აბონენტი. პროგრამის ბიუჯეტი 170 მლნ. ლარია.

· სახელმწიფომ დააზღვია, რომ არ მომხდარიყო გაცვლითი კურსის ცვლილებით გამოწვეული ფასების მნიშვნელოვანი ზრდა 9 ძირითად სასურსათო პროდუქტზე - გაცვლითი კურსის გაუფასურებით გამოწვეული უარყოფითი ეფექტების შერბილების მიზნით, განხორციელდა სახელმწიფო პროგრამა, რომელმაც კრიზისის საწყის ეტაპზე, როდესაც მნიშვნელოვნად გაიზარდა ინფლაციური რისკები,ხელი შეუწყო პირველადი მოხმარების სასურსათო პროდუქტებზე ფასების მერყეობის შემცირებას. ყველა იმ იმპორტიორი კომპანიისთვის, რომელმაც 15 მარტიდან 15 მაისის ჩათვლით, მოახდინა 9 ძირითადი პროდუქტის შესყიდვა, სახელმწიფოს მიერ მოხდა სავალუტო კურსის სხვაობის სუბსიდირება განსაზღვრული პირობებით. პროგრამის ბიუჯეტი 14 მლნ. ლარია.

· სახელმწიფოს დახმარებით მოქალაქეებს სესხის გადახდის 3 თვით გადავადების შესაძლებლობა მიეცათ - გადახდასთან დაკავშირებული პრობლემებისა და შესაბამისი ჯარიმების თავიდან აცილების მიზნით, ყველა ფიზიკურ პირს მიეცა სესხის მომსახურების 3 თვით გადავადების შესაძლებლობა, რითაც ისარგებლა 600 000-მდე მსესხებელმა.

2.7. ანტიკრიზისული გეგმის II ეტაპი.

ანტიკრიზისული გეგმის მე-2 ეტაპი ითვალისწინებს პირდაპირ ფინანსურ დახმარებას მოქალაქეების სხვადასხვა კატეგორიებისთვის. მხარდაჭერა შეეხოთ როგორც დაქირავებით დასაქმებულებს, ისე თვითდასაქმებულებს და სხვადასხვა მოწყვლად ჯგუფებს. კერძოდ:

· დაქირავებით დასაქმებული პირები, რომლებმაც დაკარგეს სამსახური ან გაუშვეს უხელფასო შვებულებაში, დახმარების სახით მიიღებენ 1200 ლარს 6 თვის

განმავლობაში, თვეში 200 ლარს. დახმარებით სარგებლობა შეეძლება დაახლოებით 350 000 მოქალაქეს. პროგრამის ბიუჯეტი 450 მლნ. ლარამდეა.

· სხვადასხვა კატეგორიის თვითდასაქმებულები მიიღებენ ერთჯერად დახმარებას 300 ლარს. პირების იდენტიფიცირებისთვის გამოყენებული იქნება მოქალაქის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია, რომლითაც დადასტურდება, რომ ეპიდემიამდე აღნიშნულ მოქალაქეს ჰქონდა შემოსავალი. პროგრამის ბიუჯეტი 75 მლნ. ლარს შეადგენს.

· სამუშაო ადგილების შენარჩუნების მიზნით, დამსაქმებელი მიიღებს საგადასახადო შეღავათს - 6 თვის განმავლობაში 750 ლარის ოდენობის ხელფასი სრულად გათავისუფლდება საშემოსავლო გადასახადისგან. 1500 ლარამდე ხელფასი კი, 750 ლარის ოდენობაზე გათავისუფლდება საშემოსავლო გადასახადისგან. პროგრამის ბიუჯეტი 250 მლნ. ლარია.

· გარდა ამისა: - ოჯახები, რომელთა სოციალური სარეიტინგო ქულა 65 000-დან 100 000 ქულის ჩათვლითაა - თითო ოჯახზე მიიღებენ საშუალოდ 600 ლარიან დახმარებას, 6 თვეში. აღსანიშნავია, რომ დღეს ეს ოჯახები იღებენ მხოლოდ 16 წლამდე ბავშვებზე არსებულ სოციალურ დახმარებას. პროგრამის ბენეფიციართა რაოდენობა 190 ათასზე მეტი ფიზიკური პირია (70 ათასი ოჯახი), ხოლო ბიუჯეტი - 50 მლნ. ლარი. - ოჯახები, რომელთა სოციალური სარეიტინგო ქულა 0-დან 100 000 ქულის ფარგლებშია და ჰყავთ 3 და მეტი 16 წლამდე ასაკის შვილი - მიიღებენ ოჯახზე საშუალოდ ჯამურ 600 ლარიან დახმარებას, 6 თვეში. პროგრამის ბენეფიციართა რაოდენობა 130 ათასზე მეტი ფიზიკური პირია (22 ათასი ოჯახი), ხოლო ბიუჯეტი - 13 მლნ. ლარი. - მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, ასევე შშმ ბავშვები მიიღებენ ჯამურ 600 ლარიან დახმარებას, 6 თვეში. ბენეფიციართა რაოდენობა 40 ათასამდე ფიზიკური პირია, ხოლო ბიუჯეტი - 25 მლნ. ლარი.

· ზემოაღნიშნულის გარდა, ძალაში დარჩა 70 წლის და მეტი ასაკის პენსიონერებისთვის 1 ივლისიდან პენსიის დამატებით 30 ლარით დაგეგმილი ზრდა, რომლითაც ისარგებლებს დაახლოებით 410 ათასზე მეტი პენსიონერი. ამასთან, იგეგმება პენსიების ინდექსაციის წესის შემოღება 2021 წლის იანვრიდან, რომლის მიხედვით:

· ყველა პენსიონერის პენსია გაიზრდება არანაკლებ ინფლაციის მაჩვენებლისა, ანუ ფასების ზრდა გავლენას ვეღარ მოახდენს რეალური პენსიის მოცულობაზე;

· 70 წლის და მეტი ასაკის პენსიონერებისთვის ინფლაციას დაემატება რეალური ეკონომიკური ზრდის 80%, ანუ პენსიის ყოველწლიური ზრდა იქნება ინფლაციაზე მაღალი;

· მიუხედავად ინფლაციის და ეკონომიკური ზრდის პარამეტრებისა, პენსიის ზრდა არ იქნება 20 ლარზე ნაკლები, ხოლო 70 წლის და უფრო მაღალი ასაკის პენსიონერებისთვის 25 ლარზე ნაკლები. ასევე, ეპიდემიის დასრულების შემდგომ, იგეგმება სოციალური დახმარებების სისტემის გადახედვა, როგორც ქულების მინიჭების, ისე ფინანსური დახმარების ოდენობის მიმართულებით.

2.8. ზრუნვა ბიზნესზე

I ეტაპი მოქალაქეებზე ზრუნვის გეგმის პირველი ეტაპის მსგავსად, ბიზნესზე ზრუნვის გეგმის პირველი ეტაპი მოიცავდა გადაუდებელ ღონისძიებებს, პანდემიით გამოწვეული პირველადი ნეგატიური ეფექტების შესამსუბუქებლად. კერძოდ:

· ბიზნეს სუბიექტებს 4 თვის ქონების და საშემოსავლო გადასახადი გადაუვადდათ 2020 წლის 1-ელ ნოემბრამდე - პროგრამის ბიუჯეტი 171 მლნ. ლარს შეადგენს. გადასახადი უკვე გადაუვადდა 6000ზე მეტ ეკონომიკურ სუბიექტს.

· მცირე სასტუმროებს მიეცათ შესაძლებლობა საბანკო სესხის 6 თვის პროცენტის თანადაფინანსებით ესარგებლათ - 4-დან 50 ნომრამდე სიდიდის სასტუმროები 2020 წლის 1 აპრილიდან იღებენ საბანკო სესხის 6 თვის პროცენტის თანადაფინანსებას. პროგრამის ბიუჯეტი 14 მლნ. ლარია.

· ავტო იმპორტიორებს ავტომობილების განბაჟების გადასახადის 90-დღიანი ვადა მიმდინარე წლის 1- ელ სექტემბრამდე გადაუვადდათ - პროგრამის ბიუჯეტი 50 მლნ. ლარია, ხოლო სარგებელი მიიღო 38 000 იმპორტიორმა.

· იურიდიულ პირებს, რომლებსაც შეექმნა საბანკო სესხის მომსახურების პრობლემა, შესაძლებლობა მიეცათ მოახდინონ სესხის გამარტივებული რესტრუქტურიზაცია - შესაძლებლობით ისარგებლა 7 000 იურიდიულმა პირმა.

II ეტაპი

· ამოქმედდება დღგ-ს ავტომატური დაბრუნების მექანიზმი და გაორმაგდება დღგ-ის ზედმეტობის დაბრუნება - ბიზნესმა დამატებით 6მლნ ლარი მიიღო.

· 330 მლნ. ლარი გამოიყოფა საკრედიტო-საგარანტიო სქემის უზრუნველსაყოფად - აღნიშნული გამოიყენება, როგორც კონტრციკლური მექანიზმი ფინანსებზე ხელმისაწვდომობის და ლიკვიდობის მართვის გასაუმჯობესებლად და უზრუნველყოფს რისკების ადეკვატურ განაწილებას სახელმწიფოს, კომერციულ ბანკსა და მსესხებლებს შორის. კრიზისის პერიოდში, როდესაც საბანკო სექტორის მხრიდან შემცირებულია რისკის მიმართ ტოლერანტობის ხარისხი. საკრედიტო-საგარანტიო სქემის გამოყენების მთავარი მიზანია ფინანსებზე წვდომის გაუმჯობესება მცირე და საშუალო ბიზნესისთვის სესხის რესტრუქტურიზაციისთვის ან ახალი სესხისთვის, მათ შორის საბრუნავი საშუალებების დაფინანსებისთვის. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა მიმართულებები, რომელთაც უშუალოდ შეეხო კრიზისი და ამასთან აქვთ კრიზისის შემდგომ, საშუალოვადიან პერიოდში ოპერირების შედარებით სწრაფი აღდგენის პოტენციალი. სქემის ფარგლებში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა პირობები კერძო სექტორისთვის, რაც მოიცავს გარანტიის დაფარვის დონის ზრდას როგორც ინდივიდუალური სესხის, ასევე პორტფელის დონეზე, საკრედიტო გარანტიით სარგებლობის საკომისიოს შემცირებას, სესხის მოცულობის ზედა ზღვრის ზრდას და გარანტიის მეტად გამოყენების შესაძლებლობას საბრუნავი საშუალებების დასაფინანსებლად. სქემის ფარგლებში 2020 წელს გამოყოფილი გარანტიის ოდენობა შეადგენს 330 მლნ. ლარს, რაც რეალურად უზრუნველყოფს დაახლოებით 2 მილიარდის ოდენობის საკრედიტო პორტფელის გარანტიას სახელმწიფოს მხრიდან.

· განხორციელდა ცვლილება „აწარმოე საქართველოში“ პროგრამის ფარგლებში, რაც გულისხმობს: სესხის/(ლიზინგის) თანადაფინანსების პერიოდის 24-დან 36 თვემდე გაზრდას; საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსების მექანიზმის ცვლილებას; საქმიანობის სახეობათა ზრდას; სესხის/(ლიზინგის) მინიმალური ზღვრის დაწევას; საბრუნავი საშუალებების დაფინანსებას (80%-მდე).

· ცვლილებები მცირე მეწარმეობის განვითარების საგრანტო კომპონენტში - გრანტის მოცულობის მაქსიმალური ზღვარი იზრდება 20 000-ლარიდან 30 000-ლარამდე,

ხოლო ბენეფიციარის მხრიდან თანადაფინანსების მოთხოვნა მცირდება 20%-დან 10%-მდე.

· კომერციულ ბანკებს მიეწოდათ 600 მლნ. ლარის გრძელვადიანი რესურსი - ლიკვიდურობის პრობლემის გადასაჭრელად, მიზანს წარმოადგენს გრძელვადიანი ლარის რესურსის გაჩენა საბანკო სექტორში. ამისათვის, ფინანსთა სამინისტრო გამოუშვებს დამატებით 600 მლნ. ლარის ღირებულების ფასიან ქაღალდებს და მიღებულ თანხას კომერციულ ბანკებში განათავსებს გრძელვადიანი დეპოზიტების სახით. საბოლოო ჯამში, COVID-19-თან ბრძოლის ანტიკრიზისული გეგმის 1-ლი და მე-2 ეტაპით გათვალისწინებული ღონისძიებების ბიუჯეტი 2020 წლის განმავლობაში მოიცავს:

· მოქალაქეებზე ზრუნვა და მათი სოციალური მხარდაჭერა - 1.04 მლრდ. ლარი

· ეკონომიკაზე ზრუნვა და მეწარმეთა მხარდაჭერა - 1.76 მლრდ. ლარი

· ჯანდაცვის სისტემის გაძლიერება და პანდემიასთან ბრძოლა - 350 მლნ. ლარი. როგორც უკვე აღინიშნა, როგორც 2020 წლის ბიუჯეტის, ასევე მომდევნო წლის ბიუჯეტის ფარგლებში ანტიკრიზისულ გეგმაში წარმოდგენილ ჰორიზონტალურ ღონისძიებებთან ერთად, შემუშავებულია და ხორციელდება მიზნობრივი მხარდაჭერის პროგრამები ცალკეულ სექტორებში, მათ შორის ტურიზმის, სოფლის მეურნეობის და დეველოპერული სექტორების მიმართულებით. ამ ღონისძიებების მიზანია, როგორც მიმდინარე, ასევე მომდევნო წლების განმავლობაში ხელი შეუწყოს სექტორების კრიზისიდან სწრაფად გამოსვლას და გაჯანსაღებას, სექტორებში მოქმედი კომპანიებისა და დასაქმებული ადამიანების მხარდაჭერას. გარდა ამისა, ქვეყნის ეკონომიკაზე, მათ შორის საფინანსო სექტორზე პანდემიით გამოწვეული უარყოფითი გავლენის შერბილებისა და ქვეყნის ეკონომიკის წახალისების მიზნით, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა შეიმუშავა დროებითი საზედამხედველო გეგმა და გაატარა მნიშვნელოვანი ფულადსაკრედიტო ღონისძიებები, რომლებიც სრულ თანხვედრაშია საერთაშორისო სავალუტო ფონდის, ევროპის ცენტრალური ბანკის და სხვა წამყვანი ფინანსური ორგანიზაციების რეკომენდაციებთან.

2.9. შეზღუდვების მოხსნა

შეზღუდვების მოხსნის 6 ეტაპიანი გეგმა განისაზღვრა შემდეგნაირად:

1. პირველ ეტაპზე დაიშვება მსუბუქი ავტოსატრანსპორტო საშუალებების გადაადგილება, ტაქსების ოპერირება; ასევე დაიშვება ყველა ტიპის საბითუმო და საცალო ონლაინვაჭრობა, მიტანის მომსახურება ნებისმიერ პროდუქტზე, აგრეთვე იმ ღია ტიპის აგრარული ბაზრების ფუნქციონირება, რომლებსაც გავლილი აქვთ

შემოწმება და აკმაყოფილებენ ჯანდაცვის სამინისტროსა და სურსათის უვნებლობის სამსახურის მიერ დაწესებულ მოთხოვნებს;

2. მეორე ეტაპზე დაიშვება მშენებლობა, სამშენებლო ზედამხედველობასთან დაკავშირებული საქმიანობა და სამშენებლო მასალების წარმოება, ავტოსამრეცხაოების და ავტოსერვისების საქმიანობა სრულად, კომპიუტერების, პირადი და საყოფაცხოვრებო საქონლის რემონტი. ასევე, შეზღუდვები იხსნება სარეკრეაციო სივრცეების ფუნქციონირებაზე;

3. მესამე ეტაპზე დაიშვება ყველა ტიპის საცალო და საბითუმო მაღაზიების ოპერირება (მოლების გარდა), რომლებსაც აქვთ დამოუკიდებელი შესასვლელი ქუჩიდან, ყველა ტიპის ღია ბაზრობის საქმიანობა, ყველა ტიპის წარმოება და საგამომცემლო საქმიანობა;

4. მეოთხე ეტაპზე დაიშვება სავაჭრო მოლების და ღია ტიპის კვების ობიექტების ფუნქციონირება, სადაც ასევე უკვე დაშვებული იქნება ადგილზე მომსახურება; ასევე ყველა ტიპის საფინანსო მომსახურება, სილამაზის სალონებისა და ესთეტიკური მედიცინის ცენტრების მომსახურება;

5. მეხუთე ეტაპზე დაიშვება დახურული ტიპის ბაზრები და ბაზრობები, ასევე ყველა ტიპის რესტორნები და კვების ობიექტები, სადაც უკვე შესაძლებელი იქნება ადგილზე მომსახურება;

6. მეექვსე ეტაპზე, დაიშვება შემდეგი საქმიანობები: ყველა ტიპის გასართობი/სპორტულგამაჯანსაღებელი/შემოქმედებითი საქმიანობა/ობიექტები, მათ შორის კინოთეატრები, თეატრები, საკონცერტო დარბაზები, მუზეუმები, ღამის კლუბები, სპორტული დარბაზები, აუზები, დაბადების დღის ცენტრები, საბავშვო გასართობი ცენტრები, სათამაშო ბიზნესი და სხვ. ასევე დაიშვება სასტუმროების ფუნქციონირება, საგანმანათლებლო დაწესებულებების ფუნქციონირება და ყველა სხვა საქმიანობა არადისტანციურ რეჟიმში. გეგმის განხორციელება დაიწყო 27 აპრილიდან. აღსანიშნავია, რომ ხელსაყრელი ეპიდემიოლოგიური მდგომარეობიდან გამომდინარე, მოხდა შეზღუდვების დაჩქარებულად მოხსნა და ცალკეული ეტაპების განხორციელების დროში გადმოწევა. შეზღუდვების მოხსნის პარალელურად, ძალაში რჩება ვირუსის პრევენციისა და გავრცელების რისკების მინიმიზაციისთვის დადგენილი ისეთი წესები, როგორიცაა სოციალური დისტანცირება და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში პირბადის ტარების ვალდებულება. ამასთან, აუცილებელია, რომ ყველა იურიდიულმა პირმა, საქმიანობის დაწყებასთან ერთად, უზრუნველყოს ჯანდაცვის სამინისტროს მიერ დადგენილი გაიდლაინების შესრულება.

3. ინვესტიციები რეგიონებში

საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების კლება 2020 წელს და პანდემიის პერიოდში არ დაწყებულა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო 2020 წლის მსოფლიო ბანკის ბიზნესის კეთების სიმარტივის რეიტინგის მიხედვით მეშვიდე ადგილზეა, Heritage Foundation-ის ეკონომიკური თავისუფლების რეიტინგში კი მეთორმეტეზე, სასამართლო სისტემისადმი უნდობლობა, ხელისუფლების არათანმიმდევრული ეკონომიკური გადაწყვეტილებები, ანაკლიის პორტის მსგავსი მსხვილი საინვესტიციო პროექტების ჩავარდნა, პრობლემები სხვა წამყვან ინვესტორებთანაც (მაგალითად, „ფრონტერა საქართველო“), არასტაბილური სავიზო რეჟიმი, განსაკუთრებით აღმოსავლეთის ქვეყნების მოქალაქეებისადმი, უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის მიწის მიყიდვაზე დაწესებული შეზღუდვები და რეგულაციები - ეს მხოლოდ მცირედი ჩამონათვალია იმ პრობლემებისა, რომლებმაც ბოლო წლებში ინვესტიციების მაჩვენებლის მკვეთრი ვარდნა გამოიწვია. ინვესტიციების ვარდნა 2020 წლამდე დაიწყო, სანამ პანდემია და მისი შედეგები საქართველომდე მოაღწევდა, კერძოდ - 2020 წლის I კვარტალში ინვესტიციების ჯამურმა მოცულობამ 165,4 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2019 წლის I კვარტალის მონაცემებზე 41,7%-ით ნაკლებია. ხელისუფლება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების კლების შემდეგ მიზეზებს ასახელებს: ინვესტორთა მფლობელობაში არსებული რამდენიმე მსხვილი საწარმო გადავიდა საქართველოს რეზიდენტის საკუთრებაში, ასევე, არარეზიდენტი პირდაპირი ინვესტორების მიმართ შემცირდა ვალდებულებები (სასესხო დავალიანების დაფარვა). თუმცა, ამ მიზეზების გარდა, შემცირების მთავარი ფაქტორი იყო მაგისტრალური გაზსადენის მშენებლობის პროექტის დასრულება. შაჰ-დენიზის პროექტის დასრულების გამო აზერბაიჯანიდან მიღებული ინვესტიციების ოდენობა თითქმის განახევრდა. პანდემიამ ამ პროცესზე, ცხადია, კიდევ უფრო უარყოფით გავლენა მოახდინა.

2017 წელი საინვესტიციო თვალსაზრისით ყველა მათგანისთვის პოზიტიური იყო. თუმცა სხვა წლებში დინამიკა რეგიონებში აბსოლუტურად სხვადასხვაგვარია: 2020 წლის სამ კვარტალში ყველაზე ნაკლები ინვესტიცია კახეთის რეგიონში განხორციელდა და დაახლოებით 809 ათასი აშშ დოლარი შეადგინა; თუმცა გასულ წლებში რეგიონიდან დივიდენდებისა და ინვესტიციების გადინება აღინიშნებოდა და, შესაბამისად, ეს მაჩვენებელი შარშანდელთან შედარებით გაუმჯობესებულია. საქართველოს მასშტაბით, ტრადიციულად, ინვესტიციების ყველაზე მაღალი მაჩვენებელია ქალაქ თბილისში (465 მლნ აშშ დოლარი), თუმცა 2020 წლის სამი კვარტალის მაჩვენებელი გასული წლის სამი კვარტალის მაჩვენებელს თითქმის 1/3-

ით, ანუ 175 მილიონი აშშ დოლარით ჩამოუვარდება; პირდაპირი უცხოური ინვესტიციებით მეორე ადგილზეა აჭარა - საინტერესოა, რომ ინვესტიციები, გასულ წელთან შედარებით, სულ 21 მილიონი აშშ დოლარით არის შემცირებული და დაახლოებით 2016 და 2018 წლების მაჩვენებლების დონეზეა; დიაგრამაზე აშკარად ჩანს, რომ საინვესტიციო ბუმი აჭარაში 2017 წელს იყო, როცა რეგიონში 210 მილიონ აშშ დოლარამდე ინვესტიცია შემოვიდა, რაც დაახლოებით 2,5-ჯერ აღემატება წლევანდელ მაჩვენებელს. გასულ წელთან შედარებით გაუმჯობესებულია მონაცემი შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონში - გასული წლის 23 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიცია 2020 წლის შესაბამის პერიოდში 36 მილიონამდეა გაზრდილი. ცხადია, ცალკე რომელიმე რეგიონისთვის საკმაოდ რთულია საინვესტიციო კლიმატის ისე შეცვლა, რომ მასზე არ აისახოს მსოფლიოს და განსაკუთრებით ქვეყნის საინვესტიციო კლიმატი და ტენდენციები, ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისით რომ არსებობს. ამ თვალსაზრისით გარკვეული უპირატესობები აქვს მსხვილ ცენტრებს (მაგალითად დედაქალაქს) ან აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას, სადაც თვითმმართველობის უფრო მაღალი დონეა და ბიზნესაქტივობის განსხვავებული მასშტაბიც. თუმცა, როგორც ზემოთ, საერთაშორისო ტენდენციების მიმოხილვაში ითქვა, საინვესტიციო რესურსები დღეს მთელ მსოფლიოში შემცირებულია და საქართველოს სახელმწიფოს რადიკალური და ინოვაციური ნაბიჯების გადადგმა მოუწევს, რომ ეს ტენდენცია შეცვალოს და ისედაც დაღმავალი მახასიათებლების საინვესტიციო აქტივობები გააუმჯობესოს.

4. ეკონომიკა და დასაქმება

2020 წლის დეკემბრის ბოლოს საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა გადახედა დასაქმებისა და უმუშევრობის დათვლის მეთოდოლოგიას, რამაც არსებითი ცვლილებები შეიტანა სტატისტიკის სტრუქტურაში - გაზარდა და რეალობას ნაწილობრივ დაუახლოვა უმუშევრობის მაჩვენებელი და, შესაბამისად, შეამცირა დასაქმებულთა რიცხვი. ამის მთავარი მიზეზი ისაა, რომ ახალი სტანდარტით თვითდასაქმებულთა წილი შემცირებულია დასაქმებულთა ჯამურ რაოდენობაში (2019 წელს 49,7%-იდან შემცირდა 30,7%-მდე). ახალი სტანდარტით დაანგარიშებული სტატისტიკის თანახმად, გასულ წლებსა და 2020 წლის I-III კვარტალებში უმუშევრობის მხრივ არსებული ვითარება მოწმობს შემდეგზე - როცა ქვეყნის მასშტაბით 2020 წლის II კვარტალში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ეს მონაცემი გაზრდილია 1%-ით, III კვარტალში - სულ 0,4%-ით. ქალაქებისა და სოფლის ტიპის დასახლებების დინამიკა ამ თვალსაზრისით განსხვავებულია - ქალაქად უმუშევრობის დონე ზრდის უფრო მაღალი მაჩვენებლით ხასიათდება, სოფლის ტიპის დასახლებებში კი, ზოგ შემთხვევაში, შემცირებულიც კია (დიაგრამა N5). ეს, სავარაუდოდ, განპირობებული უნდა იყოს იმ ფაქტორით, რომ ქვეყანაში ეკონომიკური განვითარების ძირითადი მამოძრავებელი და მშპ-ს მაგენერირებელი ქალაქის ტიპის დასახლებებია; შესაბამისად, ეკონომიკური ვარდნაც, რისი შედეგიც იყო დასაქმებულთა რაოდენობის შემცირება, ძირითადად მათ შეეხოთ. ასევე, მნიშვნელობა აქვს დასაქმების დარგობრივ სტრუქტურასაც, რომელზეც შესაბამის ქვეთავში უფრო დეტალურად ვისაუბრებთ.

დასაქმებაში ყველაზე დიდი წილი საბითუმო და საცალო ვაჭრობაზე მოდის (თითქმის 200 000-მდე დასაქმებულით). ეს ის სფეროა, რომელზედაც მთავრობის ე.წ. ჩაკეტვის პოლიტიკა ყველაზე მეტად აისახება; მხოლოდ ამ სფეროში 2020 წლის მეორე კვარტალშივე, პირველ კვარტალთან შედარებით, თითქმის 20 000-ით შემცირებულია სამუშაო ადგილები; უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობა, განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფისა და კვების მომსახურების ობიექტები, ხელოვნება გართობა და დასვენება (როგორც მშპ-სა და საწარმოთა ბრუნვის შეფასებისას გამოჩნდა), ერთ-ერთი ყველაზე დაზარალებული სფეროებია. ამ მიმართულებებში კი, 2020 წლის I კვარტალის მდგომარეობით, 70 000-ზე მეტი ადამიანი იყო დასაქმებული და უმუშევრობის პირველი მაჩვენებლები უკვე მეორე კვარტალშივე გამოჩნდა. შესაბამისად, რეგიონებშიც სწორედ ამ სფეროების წარმომადგენლებმა იგრძნეს ყველაზე დიდი სოციალური დარტყმა. მთავრობის 2020 წლის დეკემბრის ანგარიშში დეკლარირებულია, რომ დაქირავებით დასაქმებულ 125 000-ზე მეტ მოქალაქეს და თვითდასაქმებულ 250 000-ზე მეტ ადამიანს დაეხმარა ე.წ.

200-ლარიანი დახმარებებით. ეს მონაცემები, ცხადია, არ მოიცავს არაფორმალურად დასაქმებულთა და არარეგისტრირებულ დასაქმებულთა დიდ ნაწილს, თუმცა მარტივად იმას ნიშნავს, რომ 2020 წელს ქვეყანაში ოფიციალურად დარეგისტრირებულმა 375 000-მა ადამიანმა დაკარგა შემოსავალი.

4.1. კვლევა : **დასაქმებულთა კვლევა პანდემიის ფონზე**

კვლევა ჩავატარდა 23 ივნისს, გამოკითხულია 339 რესპოდენტი 2 დღის განმავლობაში. გამოკითხვა ჩატარდა დისტანციურად, Google formes-ს საშუალებით. მონაწილეთა პასუხები მოცემულია ცხრილში N1.

ცხრილი N1.

გამოკითხული რესპოდენტი	**339**
არის თუ არა დასაქმება პრიორიტეტული ქვეყნის ეკონომიკისთვის ?	**310 (93,1%) - კი**
ხართ თუ არა დასაქმებული ამ ეტაპზე?	**334 (77,8%) - კი**
იყავით თუ არა დასაქმებული პანდემიის დაწყებამდე?	**335 (85,4%) - კი**
ისარგებლეთ თუ არა მთავრობის მიერ განხორციელებული რომელიმე სოციალური ღონისძიებით?	**27,4 % - არა**
თქვენი აზრით, გაიზარდა უმუშევრობა თუ არა პანდემიის შემდეგ?	**335 (96,7%) - კი**

აღსანიშნავია გამოკითხულთა მოსაზრებები კითხვაზე :

დააფიქსირეთ თქვენი აზრი- რა შეიძლება გაკეთდეს პანდემიის ფონზე დასაქმების ხელშეწყობისთვის?

1. “ვაქცინაციის ტემპის დაჩქარება, რეგულაციების მოხსნა და ბიზნესის ხელშეწყობა, რაც თავისთავად ხელს შეუწყობს დასაქმებას.”
2. “პირველ ეტაპზე, ხელი შეეწყოს სოფლის მეურნეობის პროდუქტების მოყვანისთვის ხალხს: 1)სრულად გათავისუფლდეს გადასახადებისგან ადგილობრივი წარმოების სოფლის პროდუქტები. 2)იმპორტირებულ სოფლის პროდუქტებს დაედოს მაღალი გადასახადი და ამით ხელი შეეწყობა ადგილობრივის რეალიზაციას. პირველ ეტაპზე ეს გაკეთდეს და ხალხი დაინტერესდება პროდუქტის წარმოებით.”
3. “საშუალო რგოლისათვის პანდემიის პერიოდში პრიორიტეტული პროფესიების,საქმიანობის განსაზღვრა და შესაბამისი ტრენინგების,ცოდნის მიცემა.”
4. “აუცილებელია არსებული მდგომარეობის სწორი შეფასება, ვაქცინაციის პროცესის სწორი მენეჯმენტი, რაც საბოლოოდ, უზრუნველყოფს ქვეყანაში სტაბილურობის განცდას და ეკონომიკური ოპტიმიზმის გაძლიერებას”.
5. “ბარიერები შემსუბუქდეს ბიზნესის დასაწყებად. გადასახადები, აქციზი, საბაჟო ტარიფები შემცირდეს.”
6. “დაწესებულებეს უნდა მიეცით შეღავათი ისე,რომ შეინარჩუნონ კადრები, მაგალითად კომუნალურის ფასის შემცირება.”
7. “უცხოური ინვესტიციების მოზიდვა საქართველოს კონკურენტული უპირატესობების გათვალისწინებით.”
8. “უნდა შემცირდეს გადასახადები და დაიგეგმოს გრძელვადიანი პროგრამები დასაქმების კუთხით. მომზადდეს სამუშაო აღწერილობები ახალი რეალობის გათვალისწინებით რომ მოთხოვნა და მიწოდება შრომის ბაზარზე იყო თავსებადი.”
9. “უნდა შეიქმნას მინი საწარმოები, სადაც იწარმოება ქართული პროდუქცია. თუნდაც სახელმწიფოს მოუწიოს თანადაფინანსება. უნდა

გააძლიეროს სოფლად ოჯახები, რათა ნელ ნელა უარი ვთქვათ სოც დახმარებაზე.”

10. “ონლაინ სამუშაოები, ადგილობრივ დონეზე მოქალაქეთა დახმარების მიზნით გაწეული მომსახურების ანაზღაურება.”
11. “საჭიროა შეღავათები საშემოსავლო გადასახადზე. საჭიროა შევინარჩუნით ფასები სხვადასხვა მომსახურებაზე. არ შეიძლება ასეთ დროს კომუნალურებზე ტარიფის მომატება. ლარის კურსი უნდა დასტაბილურდეს და ხელოვნურად არ მოხდეს გაზრდა. საწვავის ფასის მომატებაც ასევე მძიმედ მოქმედებს ეკონომიკაზე. აქცენტი უნდა გაკეთდეს ადგილობრივ ნაწარმზე და ხელი შევუწყოთ ამით წარმოებას. ეს თავისთავად იქნება დასაქმების ხელშეწყობა.”
12. “ყველა რაიონმა ინდივიდუალურად უნდა იკვლიოს რისი გაკეთება შეიძლება იმისთვის რომ ნალები რაოდენობით იყოს დაუსაქმებლების რიცხვი. “
13. “დასაქმებულთა უფლებები დაცული იყოს ნორმის ფარგლებში ,ადგილი არ ქობდეს ექსპლუატაციას ,მეტი მხარდაჭერა ნიჭიერ ახალგაზრდებს ,შრომის ანაზღაურება გაიზარდოს და ლიმიტი განისაზღვროს ,კიდევ მრავალი პრობლემაა რომელიც რეფორმას საჭიროებს.”
14. “მცირე ბიზნესს შეუმცირდეს გადასახადები.”
15. “დასაქმების პროგრამებმა შედეგი რომ გამოიღოს აუცილებელია ეფექტური კოორდინაცია სახელმწიფო უწყებების ცენტრალურ, ადგილობრივ და მუნიციპალურ დონეზე. ასევე, ბიზნეს სექტორთან კოორდინირებული მუშაობა მიზნობრივი, ინკლუზიური და სოციალურად დამიზნებული ბიზნეს და ეკონომიკური მეგობრული გარემოს შესაქმნელად.”
16. “ბიზნესი რომელიც აწყობილია და დაზარალდა პანდემიის დროს უნდა შეეწყოს ხელი რომ სულ არ დაიხუროს დაწესებულებები და უფრო მეტი უმუშევარი ადამიანი არ დარჩეს.სოფლის მეურნეობას უნდა მიექცეს ყურადღება და ყველაზე მთავარი ფასებია რომელიც კატასტროფილადაა გაზრდილი”
17. “სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს თითოეული მოქალაქის კეთილდღეობა. შეიმუშაოს პროგრამები. შექმნან ინსტიტუცუები…”
18. “გარკვეული პერიოდით (მაგ: ერთი წლით) ბიზნესის ხელშეწყობის მიზნით შემცირდეს საშემოსავლო და მოგების გადასახადის განაკვეთი”
19. “მეტი სამუშაო ადგილები და მეტი პრიორიტეტი და დაფასება დასაქმებულებს”

20. “უკიდურესად მნიშვნელოვანია განათლების რეფორმა, განააკუთრებით პროფესიული განათლების მიმართულებით და კერძო სექტორის ხელშეწყობა”
21. “შემცირდეს ბიზნესის რეგულაციები ყველა მიმართულებით. დაწესდეს საგადასახადო შეღავათები გარკვეულ ინდუსტრიებში.”
22. “დასააქმონ ხალხი კარგი ანაზღაურებით,გადახედონ დღევანდელ ფასებს და ხელფასებს,პენსიონერებს,ძალიან ბევრი რამეა რასაც დიდი ძალისხმევა და შეცვლა ჭირდება ხალხის და ქვეყნის საკეთილდღეოდ.”

5. პანდემიის ფონზე შეცვლილი სოციალური და ტექნოლოგიური გამოწვევები

5.1. სოციალური

საქართველოს, რომელიც საშუალოშემოსავლიანი ეკონომიკის მქონე ქვეყანაა, სოციალური დაცვისა და გადაუდებელი დახმარების კარგად მოქმედი მექანიზმებით, და ძლიერი მხარდაჭერა აქვს საკვანძო დონორი ორგანიზაციებისგან, როგორიცაა საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი, აზიის განვითარების ბანკი და ევროკავშირის დელეგაცია, აქვს უნარი, გაუმკლავდეს COVID-19 პანდემიით გამოწვეულ საზიანო სოციალურ მდგომარეობას - სულ მცირე, მოკლევადიან პერსპექტივაში მაინც. დროის მოკლე მონაკვეთში საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა კომპლექსური ანტიკრიზისული გეგმა, რომლის მიხედვითაც, ეკონომიკის სტიმულირებასთან ერთად, ასევე გათვალისწინებულია 618 მილიონი ლარის (193 მილიონი აშშ დოლარის) გამოყოფა სოციალური ტრანსფერებისთვის. მეტიც, კონკრეტულ მოწყვლად ჯგუფებზე (ბავშვების ჩათვლით) დახმარებების დონის გაზრდისა და მისი მთავარი სოციალური შემწეობის პროგრამის მიმღებ პირთა წრის გაფართოების პარალელურად, მთავრობამ გაატარა: უმუშევრობის დახმარებას ოფიციალურად დასაქმებული პირებისთვის, რომლებმაც დაკარგეს სამსახური და დახმარებას თვითდასაქმებულთათვის. თუმცა, თითოეულ ამ ზომას თან სდევს გარკვეული შეზღუდვა და რისკები (განსაკუთრებით თვითდასაქმებულთა იდენტიფიკაციის საკითხში) და საჭიროა ამ თემების გათვალისწინება იმ შემთხვევაში, თუ გადაუდებელი სოციალური ტრანსფერების გაცემა გაგრძელდება თავდაპირველად დაგეგმილი 6 თვიანი პერიოდის შემდეგაც.

ვირუსის პირველი შემთხვევების აღმოჩენიდან მალევე, მთავრობამ საქართველოში მცხოვრები თითქმის ყველა ოჯახისთვის უზრუნველყო უნივერსალური სუბსიდირება ელექტროენერგიის, ბუნებრივი აირისა და წყლის მოხმარების კონკრეტული რაოდენობების დასაფარად სამი თვის განმავლობაში. ასევე, თავისი ანტიკრიზისული გეგმის ფარგლებში, მთავრობამ სოციალური დაცვის მთელი რიგი

ზომები გამოაცხადა. მათ შორისაა: მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამის გაფართოება დამატებით 70,000 ოჯახით (დაახლოებით 190,000 პირი), რომელთა მდგომარეობაც უკვე იყო შეფასებული, მაგრამ ისინი ადრე არ აკმაყოფილებდნენ დახმარების მისაღებ კრიტერიუმებს; პროგრამაში ჩართული 3 და მეტ ბავშვიანი ბენეფიციარი ოჯახებისთვის (დაახლოებით 21,000 ოჯახი 130,000 წევრით) ბავშვის დახმარების კომპონენტის გაზრდა; მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის (დაახლოებით 40,000 პირი) სოციალური პაკეტის დონის მომატება; უმუშევრობის დახმარების შემოღება მათთვის, ვინც კრიზისის შედეგად დაკარგა ოფიციალური სამსახური (არის შესაძლებლობა, დაფაროს დაახლოებით 350,000 ადამიანი); და ერთჯერადი ტრანსფერი თვითდასაქმებულებისთვის.

5.2. ტექნოლოგიური

საქართველოში კორონავირუსის პირველი შემთხვევების დაფიქსირების შემდეგ, ხელისუფლებამ მყისიერად მიიღო პრევენციული ზომები და ქვეყნის მასშტაბით სასწავლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესი შეწყვიტა, რადგან სკოლამდელი, ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების დაწესებულებები მაღალი სოციალური ინტერაქციით ხასიათდება და ზოგადად, მოსახლეობის მობილობას მნიშვნელოვნად ზრდის, რაც ვირუსის სწრაფ გავრცელებას უწყობს ხელს. ჯანდაცვისა და განათლების სამინისტროებთან და ეპიდემიოლოგებთან კონსულტაციების შედეგად, თავდაპირველად დაწესებული ორკვირიანი არდადაგები გახანგრძლივდა.

შეზღუდვების პარალელურად, ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემა საკმაოდ მცირე დროში გადაეწყო დისტანციური სწავლების მოდელზე. დისტანციურ სასწავლო პროცესში თანაბარი ჩართულობის უზრუნველყოფის, ასევე ინტერნეტთან შეზღუდული წვდომის მქონე მოსწავლეებისა და მასწავლებლებისთვის მცირე დროში შემუშავდა ინოვაციური პროექტი „ტელესკოლა“, რომელიც ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციამ (OECD) დისტანციური განათლების ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ მოდელად დაასახელა. 15 სასწავლო პროცესის დროებით შეწყვეტა და დისტანციურ მოდელზე გადასვლა ახალი კორონავირუსის გავრცელების პირობებში მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე აპრობირებული პრევენციული მეთოდია. საქართველოს შემთხვევაში დამატებით გასათვალისწინებელი იყო სოციუმის სპეციფიკა, კერძოდ, ოჯახებში სხვადასხვა თაობის წარმომადგენელთა თანაცხოვრების ტრადიცია, რაც, ამ კონკრეტული

დაავადების მახასიათებლების გათვალისწინებით, განსაკუთრებული რისკის ქვეშ დააყენებდა ხანდაზმულთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

მსოფლიო კორონა ვირუსის (COVID-19)-ის პანდემიამ დიდი პანიკა გამოიწვია ხალხში. ამჟამინდელი გარემო არის საკმაოდ ხელსაყრელი ჰაკერებისთვის, რომლებმაც პანიკის გავრცელებისთანავე იპოვეს გზები ბოროტად გამოეყენებინათ სიტუაცია. ჰაკერები არეგისტრირებენ ვირუსთან დაკავშირებულ დომენებს და მათ საიტის მომხმარებლებისგან სხვადასხვა ინფორმაციის მოსაპარად. ისინი ასევე ახორციელებენ აქტიურ Phishing და Ransomware შეტევებს.

რა თქმა უნდა, არ არის გასაკვირი ვირუსთან დაკავშირებული საიტების დომენების რეგისტრაცია ამ სიტუაციაში, თუმცა, თებერვლის ბოლოდან ექსპერტებმა განსაკუთრებული ზრდა შენიშნეს ამ ტენდენციაში. დარეგისტრირებული დომენების რაოდენობა თითქმის 10-ჯერ არის გაზრდილი წინა კვირებთან შედარებით. რეგისტრირებული საიტების დაახლოებით 20% კი საეჭვო აღმოჩნდა. მაგალითად Corona-virus-map.com მომხმარებლისგან ინფორმაციის მოსაპარად იყენებს ვირუსს სახელით AZORult. ეს ვირუსი აგროვებს ინფორმაციას კომპიუტერში არსებული ვებ-ბრაუზერებიდან, რომელიც შეიძლება შეიცავდეს სენსიტიურ ინფორმაციას მომხმარებლის შესახებ.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი შეტევა მოხდა ჩეხეთში, ბრნოს უნივერსიტეტის საავადმყოფოში, რომელზეც განხორციელდა Ransomware შეტევა იმ იმედით რომ საავადმყოფოს მალე დაჭირდებოდა ინფორმაციის აღდგენა და გადაიხდიდა ფულს. ამ შეტევის გამო სერიოზული ზიანი მიაყენა დაწესებულებას და გამოიწვია სხვადასხვა მნიშვნელოვანი ოპერაციის გადადება. კიბერუსაფრთხოების პროფესიონალებმა დღემდე ვერ შეძლეს საავადმყოფოს ციფრული სერვისების სრულად აღდგენა.

აღსანიშნავია ანდროიდის აპლიკაცია, რომელიც ემსახურებოდა მომხმარებლებზე თვალთვალის განხორციელებას. ეს აპლიკაცია ატყუებდა მომხმარებელს რომ იყო ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტის COVID-19-ის გავრცელების რუკა, თუმცა რეალურად ის შეიცავდა Spyware-ს, რომელიც დაკავშირებული იყო სათვალთვალო ოპერაციასთან ლიბიის მობილური მომხმარებლების წინააღმდეგ. ასევე საგრძნობლად გაზრდილია E-mail-ებზე შეტევების შემთხვევები, რომლებიც საკმაოდ დამანგრეველი შეიძლება გამოდგნენ ორგანიზაციებისთვის.

ასეთ სიტუაციაში, რა თქმა უნდა, ძალიან რთულია კიბერ შეტევებისგან თავის დაცვა, თუმცა, არსებობს რეკომენდაციები, რომლის გათვალისწინების შემდეგ მინიმუმამდე დადის ამ საფრთხის არსებობის რისკი. ბიზნესებისთვის მნიშვნელოვანია დისტანციურ მუშაობაზე გადასვლისას დაცვის მაქსიმალური

ზომების მიღება. იქნება ეს VPN-ის გამოყენება თუ მრავალდონიანი ავტორიზაცია. ასევე მნიშვნელოვანია არ იქნას გამოყენებული პერსონალური მოწყობილობები სამსახურისთვის, და არ იქნას მათზე მნიშვნელოვანი ინფორმაციის შენახვა. განსაკუთრებით უფრთხილდით მეილებს, რომლებიც უცნობი გამომგზავნისგან მიიღეთ. აუცილებლად შეამოწმეთ მისი აუთენტურობა და არ გახსნათ მიბმული ლინკები ან ფაილები. და რაც მთავარია, აუცილებლად გამოიყენეთ სანდო და სახელმწიფო ვებსაიტები, რათა მიიღოთ სწორი და დაცული ინფორმაცია COVID-19-ის გავრცელების შესახებ.

6. ეკოლოგია და ეკონომიკა _ გარემოს დაცვა

ახალი ადამიანური დაავადებების წარმოშობა მჭიდროდაა დაკავშირებული ეკოსისტემებისა და ჰაბიტატების დეგრადაციასთან, რაც, თავის მხრივ, განპირობებულია კლიმატის ცვლილებით, რესურსების ინტენსიური მოპოვებით, ურბანული და აგრარული ექსპანსიითა და დაბინძურებით.

კოვიდ-19-ის შესწავლამ ნათლად დაგვანახვა, რომ არსებობს კავშირი ჰაერის დაბინძურებასა და ვირუსით გამოწვეულ სიკვდილიანობას შორის. კვლევის თანახმად, 2.5 ზომის მტვრის მყარი შეწონილი ნაწილაკებით (PM 2.5-ით) ჰაერის დაბინძურების სულ მცირედი (1მკგ/მ.კუბ.-ით) მატება იწვევს Covid-19-ით ინფიცირებულთა გარდაცვალების რისკის ზრდას 15%-ით.

გაჩერებული წარმოებებისა და მასობრივად შემცირებული სატრანსპორტო ნაკადების ფონზე, პრაქტიკულად, მთელ მსოფლიოში ჰაერის ხარისხი გაუმჯობესდა. სწორედ ეს არის საერთაშორისო თუ ეროვნული მედიის ლამის ერთადერთი პოზიტიური რეპორტაჟი ბოლო კვირების განმავლობაში. მედია გვამცნობს, რომ პირველად, ბოლო 30 წლის განმავლობაში, ინდოეთის პენჯაბის შტატში ჰიმალაის მთების მწვერვალები დაინახეს, ხოლო თბილისის მოსახლეობამ გაიხსენა როგორია ჰაერი, რომელსაც არ სდევს ბენზინის ნამწვის სუნი. თებერვლისა და მარტის თვეებში მნიშვნელოვნად შემცირდა სათბური გაზების ემისიები.

კლიმატის ცვლილებასთან მიმართებით, კოვიდ-19-ის პანდემიას ჯერჯერობით არანაირი ხელშესახები ცვლილება არ მოუტანია. მეცნიერთა ნაწილის აზრით, მთლიანობაში, სათბური გაზების ემისია გლობალურად 2020 წლის განმავლობაში სულ რაღაც 0.3%-ით შემცირდება. შედარებისთვის აღვნიშნავთ, რომ 2008-2009 წლების ფინანსური კრიზისის დროს, სათბური გაზების ემისია შემცირდა 1.3%-ით, მაგრამ 2010 წელს ეკონომიკური სტიმულირების პაკეტის შედეგად გადაიფარა და მას შემდეგ ყოველწლიურად იზრდება. ამასთან, ისევე როგორც ფინანსური კრიზისის დროს, ემისიების შემცირება ადამიანთა ტრაგედიებზე იყო დაფუძნებული და არა სისტემის სტრუქტურულ ცვლილებაზე, რაც სოციალურ სამართლიანობასა და სამართლიან ტრანსფორმაციას გულისხმობს.

საქართველოს ზრდის მოდელს სჭირდება ეკონომიკის დაბალანსება პროდუქტიულობის ზრდის შესაბამისად. ეს გულისხმობს ბუნებრივი რესურსების პროდუქტიულ გამოყენებას და ტურიზმის მსგავსი მომსახურებების დაკავშირებას გარემოს მდგრად მართვასთან. პროდუქტიულობის ზრდა, რესურსების ეფექტური გამოყენება და კაპიტალის დაგროვება მთავარ ეკონომიკურ სექტორებში უნდა გახდეს მომავალი ეკონომიკური ზრდის გასაღები. ბუნებრივი კაპიტალის უკეთესი

მართვა ზრდის მნიშვნელოვანი მამოძრავებელია საქართველოსთვის და პირიქით. თუ ბუნებრივი გარემოს დეგრადაციას ადეკვატური ყურადღება არ დაეთმო, ის გახდება ზრდისა და ინკლუზიურობის ხელის შემშლელი ფაქტორი. ეს განსაკუთრებით საგანგაშოა, რადგან ამას მნიშვნელოვანი გავლენა ექნება ყველაზე დაუცველ მოსახლეობაზე, მათ შორის სოფლად მცხოვრებ ღარიბებზე. COVID-19 პანდემია აძლიერებს გარემოს დაბინძურებისა და ბუნებრივი რესურსების დეგრადაციისადმი მოსახლეობისა და ეკონომიკის მოწყვლადობის შემცირების მნიშვნელობას მოკლევადიან, საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში. აუცილებელია გავითვალისწინოთ, რომ COVID-19 არა მხოლოდ ჯანმრთელობის პრობლემაა, არამედ ის გავლენას ახდენს ცხოვრების ყველა სფეროზე, რაც იწვევს ეკონომიკური, სოციალური და ადამიანური განვითარების დარღვევებს. მოკლევადიან პერსპექტივაში, საჭიროა შემოსავლების მხარდამჭერ ღონისძიებათა ფართო სპექტრი, 66 საქართველო - გზა მწვანე და მედეგი განვითარებისკენ მათ შორის ფულადი გზავნილები და პირდაპირი ინვესტიციები ეკონომიკურ საქმიანობაში, რომელიც ორიენტირებულია ნაყოფიერ და მდგრად შედეგებზე. COVID-19-დან მდგრადი და ინკლუზიური აღდგენა, გააუმჯობესებს ეკონომიკურ მაჩვენებლებს საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში. საქართველოს შეუძლია შეცვალოს არსებული საზოგადოებრივი სამუშაო პროგრამები ან შეიმუშაოს ახალი მიდგომები სწრაფი დასაქმებისთვის, როგორიცაა, მაგალითად, კონსერვაციის შრომატევადი პროგრამებ (ცხრილი 8.2). რადგან საზოგადოებრივი სამუშაოების მასშტაბირებას ან გააქტიურებას დრო დასჭირდება, მნიშვნელოვანია, რომ საამისოდ სამზადისი რაც შეიძლება მალე დაიწყოს, დასაქმების მოსალოდნელი კრიზისის შესამსუბუქებლად. ეს მოიცავს: (i) სამიზნე თემების დადგენას; (ii) დასანერგად მზა ღონისძიებების მობილიზებას; და (iii) ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ნორმების განსაზღვრას პანდემიის შემდეგ საზოგადოებრივი სამუშაოების გონივრულად წარმართვის მიზნით. გრძელვადიან პერსპექტივაში, კერძო - საჯარო პარტნიორობამ და სტრუქტურულმა რეფორმებმა სოფლისა და სატყეო მეურნეობებში შეიძლება ჩამოყალიბოს ახალი, დივერსიფიცირებული მწვანე ზრდის სტრატეგია, რომელიც მედეგი იქნება მოთხოვნა- მიწოდების შოკების მიმართ.

7. ვაქცინაცია

ქვეყანაში შექმნილია COVID-19-ის ვაქცინაციის დანერგვის უწყებათაშორისი საკოორდინაციო კომისია, რომელიც გეგმის შემუშავების, მისი შესრულების კოორდინაციასა და მონიტორინგს ახორციელებს.

ვაქცინები Pfizer/BionTech, Moderna AztraZeneca და Johnson&Johnson უკვე ავტორიზებულია აშშ-ის და ევროგაერთიანების (და სხვა სანდო მარეგულირებლების) მიერ და დაშვებულია ჯანმოს მიერ გადაუდებელი მოხმარების სიაში , აღნიშნულ ვაქცინები გარკვეულ ქვეყნებში ნებადართულია მოხმარებისთვის, ხოლო ნაწილ ქვეყნებში აქვთ მხოლოდ გადაუდებელი მოხმარების ავტორიზაცია. ასევე, აღსანიშნავია, რომ ვაქცინების უმეტესობის შენახვის რეჟიმი 2-8 0C-ია, გარდა Pfizer/BionTech და Moderna-სი, რომლებიც -700C და – 200C ინახება შესაბამისად. აქედან გამომდინარე, აღნიშნული გეგმა აგებულია კვლევის შედეგად მაღალი ეფექტურობის მქონე კანდიდატი ვაქცინების პოტენციურად სამი ტემპერატურული რეჟიმის მქონე ვაქცინის გამოყენებაზე. ულტრაცივი ჯაჭვის საჭიროების გათვალისწინებით, და შესაბამისი ლოგისტიკური სირთულეების გამო, Pfizer/BionTech-ის ვაქცინის გამოყენება, ისევე როგორც Moderna-სი ძირითადად ლიმიტირებული რაოდენობით, პრიორიტეტული ჯგუფებისთვის ორგანიზებულად გამოყენების კუთხით არის განხილული. ორივე ვაქცინის შესაძლო მაქსიმალური დოზების რაოდენობა განისაზღვრა მხოლოდ მოსახლეობის პირველი 3%-ის, ანუ პრიორიტეტული ჯგუფების მოცვისთვის. 2021 წლის პირველი კვარტალიდან შესაძლებელი იქნება 2-8 0C-ის ვაქცინების მიღება, რომელთა მიმართ საქართველოს სამაცივრო, ცივი ჯაჭვის და სხვა ლოგისტიკური სისტემები სრულად არის ადაპტირებული.

კანდიდატი ვაქცინების შერჩევისას, ქვეყანა ხელმძღვანელობს შემდეგი კრიტერიუმებით: (ა) ვაქცინის შემუშავების/ლიცენზირების სტადია და ბაზარზე დაშვების მოსალოდნელი ვადები; (ბ) ვაქცინისთვის საჭირო ტემპერატურული რეჟიმი და მოთხოვნები (კომპლექსურობა-სირთულე) ცივი ჯაჭვის მიმართ; (გ) კონკრეტული ვაქცინის შესაძლო რეგისტრაციის ვადები მკაცრი მარეგულირებელი ორგანოების მიერ; (დ) ვაქცინის არსებობა COVAX-ის პლატფორმაში9 და (ე) კონკრეტული ვაქცინისადმი მოსახლეობის შესაძლო ნეგატიური დამოკიდებულების რისკი მწარმოებლის და მწარმოებელი ქვეყნის, სხვა ქვეყნებში ფართო მასშტაბიანი ვაქცინაციის პროგრამებში დაფიქსირებული ვაქცინის უსაფრთხოების/გვერდით

მოვლენების სიხშირის, გავრცელების და დაავადების სიმძიმეზე ზეგავლენის თაობაზე ახალი მტკიცებულებების დაგროვების მიხედვით.

7.1. მარეგულირებელი გარემო

არსებული რეალობა ვაქცინების სწრაფი დანერგვის თვალსაზრისით საჭიროებს ქვეყნის მარეგულირებელი გარემოს და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (შემდეგში – სამინისტრო) სხვა შესაბამისი სტრუქტურების სრულ მზაობას – შემოტანის პროცესის შეუფერხებლად წარმართვისთვის.

საქართველოს კანონმდებლობით ფარმაცევტული პროდუქტის საქართველოს ბაზარზე დაშვების სახელმწიფო რეგისტრაციის ორი გზა არსებობს. აღიარებითი რეჟიმის გამოყენების საფუძველია სხვა ქვეყნის ან სახელმწიფოთაშორისი ფარმაცევტული პროდუქტების მარეგულირებელი სახელმწიფო ორგანოს დიფერენცირება სანდოობის, საკუთარ ბაზრებზე მხოლოდ მაღალი ხარისხის ფარმაცევტული პროდუქტის დაშვების უნარის მიხედვით. კერძოდ, სხვა ქვეყნის ან სახელმწიფოთაშორისი ფარმაცევტული პროდუქტების მარეგულირებელი სახელმწიფო ორგანოს მიერ ფარმაცევტული პროდუქტის მიმართ მის კონტროლს დაქვემდებარებულ ბაზრებზე დაშვებისათვის უსაფრთხოების, ეფექტიანობისა და ხარისხის მოთხოვნებს ცალმხრივად აღიარებს საქართველო და არ ახორციელებს იმავე ან მსგავსი მოთხოვნებისადმი ფარმაცევტული პროდუქტის უსაფრთხოების, ხარისხისა და თერაპიული ეფექტიანობის დადგენის მიზნით, განმეორებით ექსპერტიზას.

სანდო მარეგულირებელი ორგანოები (ევროპის წამლების სააგენტო და 37 ქვეყნის მარეგულირებელი), პროცედურისთვის საჭირო დრო (15 სამუშაო დღე), რეგისტრაციის წესი და პირობები განსაზღვრულია კანონქვემდებარე აქტებით. ფარმაცევტული პროდუქტის სახელმწიფო რეგისტრაციის ეროვნული რეჟიმით რეგისტრაციის წესი და პირობები ითვალისწინებს ფარმაცევტული პროდუქტის სარეგისტრაციო დოკუმენტების ადმინისტრაციულ და მეცნიერულ-ტექნიკურ ექსპერტიზას . იმუნობიოლოგიური პრეპარატების (მათ შორის, ვაქცინების) სარეგისტრაციო პროცედურებისთვის განსაზღვრულია სამთვიანი ვადა. არც ერთი რეჟიმის პირობები არ ითვალისწინებს გადაუდებელი საჭიროების შემთხვევებსა და მისთვის დაწესებულ შეღავათებს.

საქართველოს კანონმდებლობა განსაზღვრავს ფარმაცევტული პროდუქტის საქართველოს ბაზარზე დაშვების რეჟიმების გამონაკლის შემთხვევებს, 14 როდესაც ე.წ. ფარმაცევტულ პროდუქტს ენიჭება ერთჯერადი რეგისტრაცია განსაკუთრებულ პირობებში (სტიქიური უბედურება, მოსახლეობის მასობრივად დაზიანება, ეპიდემია, იშვიათი დაავადება) ჰუმანიტარული მიზნით, აგრეთვე სხვა განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი ინტერესის არსებობისას, სამინისტროს თანხმობით. აღნიშნული გზით ფარმაცევტული პროდუქტის შემოტანის წესი განსაზღვრულია ნორმატიული ბრძანებით.15 აღნიშნული გზით ფარმაცევტული პროდუქტის შემოტანის დრო (მოთხოვნილი დოკუმენტების არსებობისას,) როგორც წესი, რამდენიმე დღით შემოიფარგლება. შესაბამისად, საქართველოში COVID-19 ვაქცინის დაშვება გამოყენებისთვის ფარმაცევტული პროდუქტის საქართველოს ბაზარზე ერთჯერადი რეგისტრაციის წესით მოხდება, მას შემდეგ, რაც ვაქცინა მიიღებს ან სანდო მარეგულირებელის ავტორიზაციას ან შეტანილი იქნება ჯანმოს გადაუდებელი მოხმარების სიაში.

ერთჯერადი რეგისტრაციისთვის და იმპორტირება-განბაჟებისთვის საჭირო დოკუმენტაცია წინასწარ იქნება წარდგენილი შესაბამის უწყებებში, რაც მინიმუმამდე ამცირებს ფარმაცევტული პროდუქტის დაყოვნებას საბაჟოზე.

ვაქცინის შემსყიდველი აგვარებს საბაჟოსთან დაკავშირებულ ფორმალურ მხარეს (დოკუმენტაციის წარდგენა, განბაჟება, დასაწყობება, ლოგისტიკა დანიშნულების ადგილამდე) ტვირთის შემოტანამდე რეგისტრაციაზე ან გამონაკლისი წესით შემოტანაზე. დასტურის შემდეგ დოკუმენტაცია იტვირთება შემოსავლების სამსახურის პორტალზე, დოკუმენტაციის განხილვა ხდება მყისიერად და ტვირთი ქვეყანაში შემოსვლიდან არაუგვიანეს 24 სთ-ისა განთავსდება დკსჯეც-ს ცენტრალურ საწყობში.

გასათვალისწინებელია, რომ არ არსებობს უნივერსალური შეთანხმება ვაქცინების ფლაკონებსა და შეფუთვაზე ერთიანი ფორმატის და შინაარსის შესახებ, თუმცა ჯანმო-ს მიერ უკვე შემუშავებულია ვაქცინების მარკირების მიზნით მეორადი შეფუთვის უნიფიცირების მოდელი, რომელიც გამოყენებული იქნება COVAX-ის მიერ. 16 მწარმოებლების მიერ ასევე არ იქნება გათვალისწინებული ქვეყნების მოთხოვნები შეფუთვასა და მარკირებაზე. საქართველოს კანონმდებლობა არ ზღუდავს ფარმაცევტული პროდუქტის დაშვებას, რომლის შეფუთვა არ არის წარმოდგენილი ქართულ ენაზე, თუმცა მოითხოვს დოკუმენტაციის (ანოტაციის) თარგმნას ქართულ ენაზე. გამომდინარე გადაუდებელი სიტუაციიდან, ანოტაციის ქართულ ენაზე თარგმანის პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე საქართველოს მხარე აიღებს.

იმის გათვალისწინებით, რომ მწარმოებლებისთვის არ იქნება ხელმისაწვდომი დაზღვევა, რომელიც დაიცავს მწარმოებელს ვაქცინის გამოყენებით გამოწვეული შესაძლო ზიანისთვის პასუხისმგებლობის რისკებისგან, მწარმოებლები აყენებენ მოთხოვნას თითოეულმა ქვეყანამ თავად აიღოს ეს პასუხისმგებლობა და ამით დააზღვიოს მწარმოებელი. ზემოხსენებული მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით საქართველოს პარლამენტმა 2021 წლის 28 იანვარს შეიტანა ცვლილება საქართველოს კანონში „საზოგადოებრივი ჯანდაცვის შესახებ“. საკანონმდებლო ცვლილების თანახმად საქართველოში COVID-19 ვაქცინის გამოყენების შედეგად დამდგარ შესაძლო ზიანზე პასუხისმგებელია სახელმწიფო, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ზიანი გამოწვეულია ა) იმპორტიორის მიერ დაშვებული შეცდომით, ბ) სამედიცინო პერსონალის ან სამედიცინო დაწესებულების მიერ დაშვებული შეცდომით და გ) ფარმაცევტული პროდუქტის მწარმოებლის მიერ, როდესაც მწარმოებელთან გაფორმებული ხელშეკრულება ითვალისწინებს მის პასუხისმგებლობას.

7.2. მოთხოვნის შექმნა და კომუნიკაცია

ახალი ვაქცინების დანერგვის მრავალწლიანი გამოცდილება და მტკიცებულებები ადასტურებს, რომ მკაფიო და ეფექტური კომუნიკაცია აუცილებელია COVID-19 ვაქცინაციის პროგრამის წარმატებული დანერგვისათვის, რომლის ინიცირება ვაქცინების ხელმისაწვდომობამდე უნდა დაიწყოს.

საზოგადოების ინფორმირებულობის გარდა, ვაქცინის მიმღებლობაზე მოქმედებს სამი ფაქტორი, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნეს პრობლემის გააზრებისა და სტრატეგიების იდენტიფიცირების მიზნით: ხელშემწყობი გარემო, სოციალური ზეგავლენა და მოტივაცია.

ვაქცინის მიმართ ნდობის გაზრდა ზოგად პოპულაციაში და განსაკუთრებით პირველ სამიზნე ჯგუფებში, ისევე როგორც ვაქცინაციის ირგვლივ არსებული დეზინფორმაციის გაქარწყლება, მნიშვნელოვანია ვაქცინების მაღალი მიმღებლობის უზრუნველსაყოფად. COVID19 ვაქცინაციის წარმატებული პროგრამა, თავის მხრივ, მნიშვნელოვან გავლენას იქონიებს ქვეყნის იმუნიზაციის პროგრამაზე და რუტინული აცრებით მოცვის მაჩვენებელზე მომავალი წლების განმავლობაში.

7.3. მიზანი

COVID-19 ვაქცინისადმი ნდობის ამაღლება, მიმღებლობის გაზრდა და მოთხოვნის შექმნა.

მიზნის მისაღწევად გამოყენებული იქნება შემდეგი მიდგომები: ადვოკატირება, კომუნიკაციის, სოციალური მობილიზაციის, რისკისა და უსაფრთხოების საკითხების კომუნიკაცია, საზოგადოების ჩართულობა, ტრენინგები, კრიზისის კომუნიკაცია.

7.4. ამოცანები:

· მთავარი პარტნიორებისა და საზოგადოების მობილიზაცია და ჩართვა;

· COVID-19-ის ვაქცინების პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებით შიდა და გარე პარტნიორებთან დიალოგი მათი ძირითადი მოსაზრებებისა და საჭიროებების გასაგებად;

· მედიის ინფორმირება, მობილიზაცია და მედიაადვოკატირება;

· კრიზისის კომუნიკაციის სამოქმედო გეგმის შემუშავება და განხორციელება;

· ყოველდღიური/ყოველკვირეული დეშბორდების მომზადება / სტანდარტული ფორმის შემუშავება;

· COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაციის ტექნიკური სახის და ეფექტური კომუნიკაციის შესახებ დეტალური სახელმძღვანელოს შემუშავება და ტრენინგის ჩატარება ადგილობრივი პროვაიდერი სამედიცინო დაწესებულებების მენეჯერების, მედპერსონალისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის;

· საზოგადოებისათვის მუდმივად განახლებადი ინფორმაციის მიწოდება COVID-19 ვაქცინების შემუშავების, ავტორიზაციის, დანერგვის, განაწილებისა და გამოყენების შესახებ;

· საზოგადოების ნდობის უზრუნველყოფა COVID-19 ვაქცინის უსაფრთხოების, ეფექტურობისა და დანერგვის პროცესის მიმართ;

· საზოგადოების კონსოლიდაციის, მოლოდინების მართვის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის, უსაფრთხოების საკითხებზე აქტიური, დროული, ხელმისაწვდომი და ეფექტური ინფორმაციის გავრცელება;

· COVID-19 ვაქცინის სამიზნე პოპულაციის მობილიზაცია, როგორც პირველად ასევე მეორე დოზით ვაქცინაციაზე მოწვევის ეფექტური კომუნიკაცია;

· ინფოდემიის მართვა და დეზინფორმაციის გაქარწყლება;

· საკომუნიკაციო მიზნებისთვის ვაქცინების გამოყენების შესაძლებლობა საზოგადოებისთვის ცნობადი სახეების აცრის მიზნით

· სტრატეგიის განხორციელების პროცესის მონიტორინგი, ზედამხედველობითი მხარდაჭერა და ზეგავლენის შეფასება.

7.5. სამიზნე აუდიტორია

1. კოვიდ-19-ის ვაქცინის დანერგვაში მონაწილე მხარეები:

· საკოორდინაციო საბჭო;

· NITAG-ის წევრები;

· სამინისტრო და დკსჯეც;

· მუნიციპალური საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრები;

· ადგილობრივი მთავრობა;

· ადგილობრივი და საერთაშორისო პარტნიორები;

1. სამედიცინო სერვისების მიმწოდებლები და პერსონალი (ჯანდაცვის სექტორი სრულად).

მაღალი რისკ-ჯგუფის წარმომადგენლები:

· ხანგრძლივი მოვლის დაწესებულების ბენეფიციარები და პერსონალი;

· შესაბამისი ასაკის პირები;

· ზოგიერთი ქრონიკული დაავადებების მქონე პირი (18-49 წლის);

· ესენციური სერვისების მიმწოდებლები და სხვ.

1. მოსახლეობის ნაწილი, რომელიც არ შედის პირველი ეტაპებისთვის განსაზღვრულ ჯგუფებში (მოლოდინების მართვა).

1. დაინტერესებული / ზეგავლენის მქონე მხარეები:

· პოლიტიკის განმსაზღვრელები და პოლიტიკოსები;

· სამოქალაქო საზოგადოება;

· სამეცნიერო საზოგადოება, აკადემია;

· არასამთავრობო ორგანიზაციები;

· კრიტიკულად და უარყოფითად განწყობილი ჯგუფები;

· ბიზნეს სექტორი

1. მასმედია და სოციალური მედია:

· ცენტრალური და რეგიონული ტელევიზია (მ.შ. ეთნიკური უმცირესობების ენაზე მაუწყებელი მედია არხები);

· რადიო;

· ბეჭდური მედია;

· სოციალურ მედიაში ჯგუფები და „ინფლუენსერები“:

o STOPCOV.ge;

o MOH.gov.ge;

o NCDC.ge;

o Facebook, Instagram გვერდები.

7.6.სტრატეგიული მიმართულებები

საერთაშორისო გამოცდილება და კვლევები ადასტურებს, რომ მხოლოდ ინფორმირება ან ცალკეული ინტერვენციები არაეფექტურია ვაქცინაციის ბარიერების დასაძლევად და საჭიროა სხვადასხვა სტრატეგიებისა და მიდგომების ინტეგრირება და კომბინაცია. მაგალითად, როგორიცაა შეხსენებების და მითითებების დაგეგმვის, ჯანდაცვის მუშაკების ტრენინგისა და მათ მიმართ ნდობის ამაღლებისკენ მიმართული ინტერვენციები. ასევე, შესაძლებელია მოხალისეების (მაგ. სტუდენტების, საჯარო მოხელეების) ჩართვა სამიზნე კონტიგენტის სოციალური მობილიზაციის და აცრისთვის ფიზიკური მობილიზაციის (მოყვანის) მიზნით.

კომუნიკაციის სამოქმედო გეგმა ეყრდნობა ვაქცინებზე მოთხოვნის შექმნის ინტეგრირებული მიდგომის ოთხ ურთიერთდაკავშირებულ სტრატეგიულ ელემენტს:

სოციალური მოსმენა, მედიის ჩართულობა და დეზინფორმაციის მართვა:

· სამიზნე პოპულაციების მოსმენა და გაგება, წამყვან ფაქტორებზე ქცევითი და სოციალური მონაცემების შეგროვებით კომუნიკაციის მიზნობრივი სტრატეგიების შემუშავება;

· დამხმარე და გამჭვირვალე ინფორმაციული გარემოს შექმნა და დეზინფორმაციის გაუვნებელყოფა სოციალური მოსმენისა და შეფასების საშუალებით, შემდგომი ინტერვენციების დაგეგმვის მიზნით.

რისკის კომუნიკაცია და საზოგადოების ჩართულობა

· ვაქცინების მიმართ ნდობისა და მიმღებლობის გაზრდა სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობით.

ჯანდაცვის სპეციალისტების გაძლიერება

· COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაციის შესახებ სამედიცინო პერსონალის, როგორც ვაქცინაციის პირველი სამიზნე ჯგუფის, სანდო ინფორმაციის წყაროს, გავლენის მქონე პირისა და ვაქცინატორის ინფორმირებულობისა და ცოდნის გაზრდა; უნდა გაძლიერდეს სამედიცინო პერსონალის სამიზნე მოსახლეობასა და თემთან ინტერპერსონალური კომუნიკაციის უნარები.

კრიზისის კომუნიკაცია

· ქვეყნის მზაობა კრიზისული სიტუაციების მართვისთვის, იმუნიზაციის შემდგომი შესაძლო გართულებების შემთხვევაში სწრაფი და კოორდინირებული რეაგირებისათვის ყველა დონეზე.

8. ქვეყნის ეკონომიკა 2013- 2020წწ.

2012 წლის ბოლოს საქართველოს ხელისუფლების ცვლილებას ეკონომიკაშიც გარკვეული ცვლილებები მოჰყვა. ეკონომიკური პოლიტიკა მნიშვნელოვნად არ შეცვლილა, ის 2009 წლიდან დაწყებული ეკონომიკური პოლიტიკის მსგავსი იყო: ოფიციალურად ბიზნესის კეთების სიმარტივეზე ორიენტირებული ღია ეკონომიკა, სადაც პრიორიტეტი ტურიზმი და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვაა.

2013 – 2020 წლების შეფასება ორ ნაწილად უნდა გაიყოს, პანდემიამდე ანუ 2019 წლის ჩათვლით და ცალკე 2020 წელი. 2019 წლამდე მიღწეული შედეგი ცალსახად იყო დაკავშირებული მთავრობის პოლიტიკასთან, რასაც ვერ ვიტყვით 2020 წელზე, კრიზისი მსოფლიოს ყველა ქვეყანას შეეხო. თუმცა, თუნდაც პანდემიის პერიოდში, მთავრობის მოქმედება მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ეკონომიკის შემცირების დონეს.

8.1. ეკონომიკური ზრდა და ერთ მოსახლეზე შემოსავალი

2012 წელს საქართველოში ერთი ადამიანის საშუალო წლიური შემოსავალი 8,162 ლარი იყო. 2013 წლიდან ეკონომიკური ზრდის ტემპის შემცირების მიუხედავად, ერთ მოსახლეზე შემოსავალი იზრდებოდა და 2019 წელს 10,835 ლარი შეადგინა. რიცხვები აღებულია რეალურ ლარებში (2015 წლის ფასებში) ანუ ლარის მსყიდველობითი უნარის შემცირების გათვალისწინებით (ეს არის ყველაზე სწორი შედარება, როდესაც ქვეყნის შიგნით შემოსავლების ცვლილებას ვაკვირდებით). 2020 წელს ერთ მოსახლეზე შემოსავალი დაახლოებით 5%-ით შემცირდება და 10,300 ლარამდე იქნება.

მოსახლეობის შემოსავლის მატებას ეკონომიკური ზრდა განსაზღვრავს, რომელიც 2011-2012 წლებში საშუალოდ 6.9% იყო, ხოლო 2013-2019 წლებში – საშუალოდ 4.1%. 2019 წლამდე რომ 2012 წლის ეკონომიკური ზრდის ტემპი შენარჩუნებულიყო, 2019 წელს ერთ მოსახლეზე შემოსავალი არსებულზე 41%-ით მეტი, 12,600 ლარი იქნებოდა. “ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლიდან მეოთხე წელს, რომელიც “ძალიან კარგი წელი“ უნდა ყოფილიყო, ეკონომიკა მხოლოდ 2.9%-ით გაიზარდა, რაც 2013- 2019 წლების მინიმალური მაჩვენებელია.

მთავრობის პროგნოზით, 2020 წელს საქართველოს ეკონომიკა 4.9%-ით შემცირდება.

8.2.უმუშევრობა და დასაქმება

საქართველოს ყველაზე დიდი პრობლემა უმუშევრობაა, რაც ეკონომიკის სიმცირითაა გამოწვეული. მხოლოდ საქართველოს ეკონომიკის მნიშვნელოვნად ზრდა დაძლევს უმუშევრობის პრობლემას, სხვა არაფერი! განვითარებულ ქვეყნებშიც კი, სადაც უმუშევრობა ნაკლებად აწუხებთ, მთავრობის საქმიანობის შეფასების ერთ- ერთი ანგარიშგასაწევი მაჩვენებელი სამუშაო ადგილების ზრდაა. გამომდინარე იქიდან, რომ 2013-2019 წლებში საქართველოს ეკონომიკა მაღალი ტემპით არ იზრდებოდა, დასაქმებულთა რაოდენობა სულ 30,700-ით გაიზარდა.

დასაქმებულთა რაოდენობამ პიკს 2015 წელს მიაღწია – 1,734 ათასს, მას შემდეგ კი ყოველწლიურად მცირდებოდა. 2016-2019 წლებში დასაქმებულთა რაოდენობა 43,600-ით შემცირდა. დასაქმებულთა რაოდენობა ორი ნაწილისგან შედგება: დაქირავებით დასაქმებული და თვითდასაქმებული. თვითდასაქმებულები მოიცავს სოფელში საკუთარ მეურნეობაში დასაქმებულებს, ინდივიდუალურ მეწარმეებს, ტაქსის მძღოლებს, რეპეტიტორებს, ბაზრობებზე და გარევაჭრობაში დასაქმებულებს და ა.შ. 2015 წლის შემდეგ დასაქმებულთა შემცირება სწორედ თვითდასაქმებულთა კატეგორიის კლებამ განაპირობა, რომელიც 88 ათასით შემცირდა, ცალკე აღებული დაქირავებით დასაქმებულთა რაოდენობა კი 51 ათასით გაიზარდა. თუმცა 2019 წელს პირიქით მოხდა, დაქირავებულების რიცხვი შემცირდა 11 ათასით, ხოლო თვითდასაქმებულებისა 7 ათასით გაიზარდა.

ზოგადად, მოსახლეობის აღქმაში დასაქმებული დაქირავებით დასაქმებულს ნიშნავს და თუ მხოლოდ ამ კატეგორიას დავაკვირდებით, ის 2013-2019 წლებში წლიურად საშუალოდ 19 ათასით იზრდებოდა. ასეთი ტემპით, ოფიციალურად უმუშევართა სტატუსის მქონე ადამიანების დასაქმებას 12 წელი დასჭირდება. ოფიციალურ უმუშევრებში საქსტატის კლასიფიკაციით დათვლილი უმუშევრები იგულისხმება, ანუ მოსახლეობის ის ნაწილი, ვინც აქტიურად ეძებს სამსახურს და ვერ პოულობს. ამ დროს, საქართველოში თავს უმუშევრად მილიონზე მეტი ადამიანი თვლის.

წელიწადში 19 ათასის დასაქმებით რეალურ უმუშევრობას 53 წელიწადში დავამარცხებთ.

უმუშევრობის დონე, რომელიც საქსტატის მიერ უმუშევრად ჩათვლილი მოსახლეობის სამუშაო ძალასთან ფარდობით გამოითვლება, 2012 წელს 17.2% იყო, 2019 წელს კი – 11.2%. უმუშევრების რაოდენობა 124 ათასი კაცით შემცირდა, თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნე, დასაქმება მხოლოდ 31 ათასით გაიზარდა. ამ ორ რიცხვს შორის სხვაობა – 73 ათასი ადამიანი სამუშაო ძალიდან გავიდა, ამიტომ ისინი აღარ ხვდებიან უმუშევრების სტატისტიკაში. სამუშაო ძალიდან გასვლა ნიშნავს, რომ არ მუშაობს, მაგრამ არც ეძებს სამსახურს. საქსტატის მონაცემებით, ასეთი ადამიანების რიცხვი საქართველოში 1.1 მლნ-ზე მეტია. მალე ძალაში შევა უმუშევრობის დათვლის ახალი მეთოდოლოგია, რომლის მიხედვით, დღეს თვითდასაქმებულად ჩათვლილთა ნაწილი უმუშევრად ჩაითვლება, რაც უმუშევრობის დონეს საგრძნობლად გაზრდის.

2020 წელს, 2019 წელთან შედარებით, ეკონომიკური კრიზისის გამო, დასაქმებულთა რაოდენობა დაახლოებით 40 ათასით შემცირდება.

8.3. ფასების ზრდა და ლარის კურსი

საქართველოში ძალიან აქტუალურია სამომხმარებლო საქონელსა და მომსახურებაზე ფასების ზრდა (ინფლაცია) და ლარის გაუფასურება. 2012 წლის ბოლოსთან შედარებით 2019 წლის ბოლოს სამომხმარებლო საქონელსა და მომსახურებაზე ფასები 29.2%-ით იყო გაზრდილი. საშუალო წლიური ინფლაცია 3.8% იყო. 2020 წლის იანვარ-ოქტომბერში ფასები კიდევ 2.5%-ით გაიზარდა და 2012 წლის შემდეგ ჯამურმა მატებამ 32.4% შეადგინა.

ბოლო რვა წელიწადში ყველაზე მეტად თამბაქოსა და ალკოჰოლური სასმელების ჯგუფში შემავალი პროდუქცია გაძვირდა – 116%-ით. 53%-ით მოიმატა ჯანმრთელობის დაცვის ფასმა, რაც მედიკამენტებსა და სამედიცინო მომსახურებას

მოიცავს. 48%-ით გაძვირდა სურსათი და უალკოჰოლო სასმელები. მნიშვნელოვნად მხოლოდ ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის ფასია შემცირებული – 23%-ით.

8.4. ინფლაცია ბოლო რვა წელიწადში

2012 წლის ბოლოს ლარის გაცვლითი კურსი დოლარის მიმართ 1.66 იყო, 2020 წლის ნოემბრის ბოლომდე კი ლარი 100%-ით გაუფასურდა, ანუ ერთი დოლარი ახლა 2-ჯერ მეტი ღირს. ლარის გაუფასურება და კურსის მაღალი მერყეობა ბოლო წლების ერთ- ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა იყო, რადგან მოსახლეობას გაუძვირა უცხოურ ვალუტაში აღებული სესხები, მთავრობასა და კერძო სექტორსაც გაუძვირა უცხოურ ვალუტაში აღებული საგარეო სესხები, ხელი შეუწყო ფასების ზრდას, ბიზნესში შექმნა არასტაბილურობისა და გაურკვევლობის მოლოდინი.

8.5. საგარეო ვაჭრობა და ტურიზმი

2012 წელს საქართველოს ექსპორტი 2.4 მილიარდი დოლარი იყო. 2013-2014 წლებში ნახევარი მილიარდით გაიზარდა, საიდანაც 227 მლნ დოლარი რუსეთზე მოდიოდა, 271 მლნ კი – ევროკავშირზე.

2015 წლიდან რუსეთსა და რეგიონის სხვა ქვეყნებში არსებული ეკონომიკური კრიზისის გამო ექსპორტმა შემცირება დაიწყო, თუმცა 2017 წლიდან ისევ ზრდის ტენდენციას დაუბრუნდა და 2019 წელს 3.8 მილიარდი დოლარი შეადგინა. 2013-2019 წლებში ყველაზე მაღალი ზრდა შემდეგ ქვეყნებზე მოდის: ევროკავშირი – 466 მლნ დოლარი, რუსეთი – 450 მლნ დოლარი, ჩინეთი – 197 მლნ დოლარი, სომხეთი – 174 მლნ დოლარი. მნიშვნელოვანი კლება კი ორ ქვეყანასთანაა, აზერბაიჯანთან ექსპორტი 118 მლნ დოლარით შემცირდა, ხოლო აშშ- თან 94 მლნ დოლარით.

2012 წლის შემდეგ, 2019 წლის ჩათვლით, იმპორტი დაახლოებით იმავე მოცულობით გაიზარდა (1.5 მლრდ დოლარით), რამდენითაც ექსპორტი, და სავაჭრო დეფიციტი 5.7 მილიარდი დოლარის დონეზე შენარჩუნდა.

იმპორტი ყველაზე მეტად, 500 მლნ დოლარით, რუსეთიდან გაიზარდა. 465 მლნ დოლარით გაიზარდა აშშ- დან, 244 მლნ დოლარით – ჩინეთიდან და 197 მლნ დოლარით – სომხეთიდან.

2020 წლის იანვარ- ოქტომბერში საქართველოს ექსპორტი 11%-ით შემცირდა, ხოლო იმპორტი – 17%-ით. უარყოფითმა ბალანსმა კი 3.7 მილიარდი დოლარი შეადგინა, რაც თითქმის მილიარდი დოლარით ნაკლებია 2019 წლის იანვარ- ოქტომბრის უარყოფით ბალანსზე.

საგარეო ვაჭრობაში -5.7 მილიარდი დოლარის ბალანსი ნიშნავს, რომ ქვეყანაში, ვაჭრობის შედეგად, აღნიშნული თანხით ნაკლები შემოსავალი შემოდის, ვიდრე გადის.

ბოლო წლებში ამ დანაკლისს მნიშვნელოვნად ამცირებს საერთაშორისო ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი. ტურიზმი საქართველოს ეკონომიკაში ბოლო ათწლეულის ყველაზე წარმატებული მიმართულებაა. 2012 წლამდე და შემდეგ ტურისტების რაოდენობა ყოველ წელს იზრდებოდა. ყველაზე დაბალი ტემპით 2014 წელს გაიზარდა – 2.7%-ით, როდესაც საქართველოს მთავრობამ სავიზო რეჟიმი გაამკაცრა, თუმცა მალევე მიხვდა თავის შეცდომას და სავიზო რეჟიმი ისევ გაამარტივა, რის შემდეგაც ტურიზმმა სწრაფი ზრდა დაიწყო. საბოლოოდ, 2019 წელს 2012 წელთან შედარებით ქვეყანაში 2-ჯერ მეტი ვიზიტორი შემოვიდა, სულ 9.4 მლნ ადამიანი. ტურიზმიდან მიღებულმა შემოსავალმა 3.3 მილიარდი დოლარი შეადგინა, 2012 წელს 1.4 მილიარდი დოლარი იყო.

2012 წლის შემდეგ ვიზიტორების რაოდენობა ყველაზე მეტად რუსეთიდან გაიზარდა – 1.1 მლნ ვიზიტორით. შემდეგ მოდის აზერბაიჯანი 727 ათასი ვიზიტორით და

სომხეთი 616 ათასი ვიზიტორით. 2012 წლის შემდეგ ვიზიტორების მნიშვნელოვანი შემცირება მხოლოდ თურქეთიდან დაფიქსირდა – 2019 წელს 84 ათასით ნაკლები შემოვიდა, ვიდრე 2012 წელს.

პანდემიის გამო 2020 წლის მარტიდან ვიზიტორების რაოდენობა 95%-ით შემცირდა.

8.6. უცხოური ინვესტიციები

რადგან საქართველოს უარყოფითი სავაჭრო ბალანსი აქვს და, ამასთან ერთად, მაღალი ეკონომიკური ზრდა სჭირდება, ძალიან მნიშვნელოვანია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა.

2013 წელს ინვესტიციები დაახლოებით 2012 წლის დონეზე იყო. 2014- 2015 წლებში გაიზარდა და წელიწადში საშუალოდ 1.8 მილიარდი დოლარის შემოდიოდა, რაც მნიშვნელოვნად იყო განპირობებული შაჰ- დენიზ 2-ის მილსადენის მშენებლობით (სულ ამ პროექტმა 2 მილიარდ დოლარამდე ინვესტიცია შემოიტანა). 2018-2019 წლებში ინვესტიციები დაახლოებით 30%-ით შემცირდა. 2012 წელთან შედარებით კი 2019 წელს 25%-ით მეტი ინვესტიცია შემოვიდა. ზოგადად, რაც უდრო დიდია ქვეყნის ეკონომიკა, მით მეტი ინვესტიცია სჭირდება ზრდის ტემპის შესანარჩუნებლადაც კი.

2013-2019 წლებში ყველაზე მეტი ინვესტიცია – 2.3 მილიარდი დოლარი – აზერბაიჯანიდან შემოვიდა. მეორე ადგილზე ნიდერლანდებია 1.5 მილიარდი დოლარით და შემდეგ მოდის დიდი ბრიტანეთი 1.4 მილიარდით. სამივე ეს ქვეყანა ჩართულია ტრანსკავკასიური მილსადენების მშენებლობაში. მე-4 ადგილზე თურქეთია 900 მლნ დოლარით.

ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2013-2019 წლებში ყველაზე მეტი ინვესტიცია – 2.7 მილიარდი დოლარი – ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სექტორში შემოვიდა, რადგან ის მოიცავს მილსადენ ტრანსპორტს. 1.5 მილიარდი დოლარი შემოვიდა საფინანსო სექტორში, 1.4 – ენერგეტიკაში და 1.1 – მშენებლობაში. ყველაზე ცოტა, 71 მლნ დოლარი, სოფლის მეურნეობაში შემოვიდა, რაც მთავრობის

“დამსახურებაცაა“ უცხოელებისთვის მიწის ფლობის უფლების ჩამორთმევიდან გამომდინარე.

2020 წლის პირველ ნახევარში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 26%-ით შემცირდა.

8.7. საგარეო ვალი და სახელმწიფო ვალი

2012 წლის ბოლოს საქართველოს 13.4 მილიარდი დოლარის საგარეო ვალი ჰქონდა. აქ იგულისხმება მთავრობისა და კერძო სექტორის საგარეო ვალების ჯამი. 2019 წლის ბოლოს კი საგარეო ვალი 18.6 მილიარდი დოლარი იყო, 7 წელიწადში 5.2 მილიარდით გაიზარდა. მათ შორის, მთავრობის ვალი 1.5 მილიარდი დოლარით გაიზარდა, ხოლო სახელმწიფო კომპანიების – 400 მლნ დოლარით. 2 მილიარდით გაიზარდა კომერციული ბანკების საგარეო ვალდებულებები და დაახლოებით 1.4 მილიარდი დოლარით გაიზარდა დანარჩენი კერძო კომპანიების საგარეო ვალი.

ვალის ეკონომიკისადმი ტვირთის მაჩვენებელს მისი მთლიან შიდა პროდუქტთან (მშპ) ფარდობა აჩვენებს, რომელიც 2012 წლის ბოლოს 81.4% იყო და 2019 წლის ბოლოსთვის 106.7% შეადგინა. ვალის ტვირთის მაჩვენებლის ზრდა, ახალი ვალების აღებასთან ერთად, დაკავშირებულია მშპ-ის ზრდის ტემპთან და ლარის კურსთან.

2020 წლის პირველ ნახევარში საგარეო ვალი 133 მლნ დოლარით გაიზარდა და 18.8 მილიარდ დოლარს მიაღწია. ცალკე აღებული მთავრობის ვალი 430 მლნ დოლარით გაიზარდა, მაგრამ კერძო სექტორის დავალიანება შემცირდა 295 მლნ დოლარით.

8.8. საქართველოს საგარეო ვალი

საქართველოს სახელმწიფო ვალი, რომელიც მთავრობისა და ეროვნული ბანკის ვალებს მოიცავს, 2012 წლის ბოლოს 8.4 მილიარდი ლარი იყო, მშპ-ის მიმართ 30.8%. 2019 წლის ბოლოს კი 20.7 მილიარდი ლარი იყო, მშპ-ის მიმართ 42%.

2013 – 2019 წლებში იზრდებოდა როგორც საგარეო სახელმწიფო ვალი, ასევე საშინაო სახელმწიფო ვალი. ლარში გამოხატული საგარეო ვალის ზრდა ლარის კურსის დაცემამაც განაპირობა. ძირი თანხა საშინაო სახელმწიფო ვალის უფრო გაიზარდა, 2012 წლის ბოლოს 1.2 მილიარდი ლარი იყო, 2019 წლის ბოლოს კი 3.5-ჯერ მეტი, 4.2 მილიარდი ლარი.

პანდემიის გამო ვალების ზრდის ტემპი გაიზარდა. 2020 წლის 10 თვეში საშინაო სახელმწიფო ვალი 1.7 მილიარდი ლარით გაიზარდა, ხოლო საგარეო – 1.3 მილიარდი დოლარით. ოქტომბრის ბოლოს სახელმწიფო ვალმა მშპ-ის 58%-ს მიაღწია.

8.9. შეჯამება

საქართველოს ეკონომიკაში არსებული პრობლემები იცვლებოდა წლებთან ერთად. აუცილებლად აღსანიშნავია ის პრობლემებიც , რომლებიც პანდემიის მიუხედავავად მაინც არსებობდა და იარსებებდა. 2013 – 2019 წლებში საქართველოს ეკონომიკა 32%-ით გაიზარდა და, შესაბამისად, ერთ მოსახლეზე შემოსავალიც გაიზარდა. თუმცა შედარებით მაღალი ეკონომიკური ზრდის ქვეყნიდან (2010-2012 წლები) საქართველო საშუალო ეკონომიკური ზრდის მქონე ქვეყანა გახდა. ეს ნიშნავს, რომ გარკვეული შესაძლებლობები და დრო დაიკარგა ქვეყნის უფრო სწრაფად გამდიდრებისთვის. მეტიც, რადგან საქართველოს მაღალი ეკონომიკური ზრდის ტემპი არ ჰქონდა, უმუშევრობის პრობლემა შვიდი წლის შემდეგაც ყველაზე აქტუალურ პრობლემად დარჩა. ბოლო წლებში არსებული უმუშევრობის შემცირების ტემპით უმუშევრობა საქართველოში ფაქტობრივად არასდროს დაიძლევა, თუ ქვეყნის მოსახლეობამ ემიგრაციის ხარჯზე კლება არ განაგრძო.

ეკონომიკის ზრდის მიუხედავად, მნიშვნელოვნად გაიზარდა ფასები და ლარი დოლართან 100%-ით გაუფასურდა. ფასების ზრდა და ლარის კურსის ვარდნა მოსახლეობის გარვეულ ჯგუფებს ძალიან მძიმე ტვირთად დააწვა.

2013-2019 წლებში საქართველოს მნიშვნელოვანი პროგრესი ჰქონდა საგარეო ვაჭრობის კუთხით (განსაკუთრებით, ექსპორტის ზრდით) და, შეიძლება ითქვას, წარმატებას მიაღწია ტურიზმის სექტორში. თუმცა როგორც ვაჭრობის, ასევე ტურიზმის ზრდაში მაღალია რუსეთის წილი. ერთი მხრივ, რუსეთიდან შემოსავლები გაგვეზარდა, მაგრამ ქვეყნის უსაფრთხოება შესუსტდა, რადგან რუსეთზე ეკონომიკური დამოკიდებულება გაიზარდა. თუმცა 2020 წელს მიმდინარე პანდემიამ ნათლად აჩვენა, რომ საქართველოს შეუძლია რუსეთზე შემცირებულ დამოკიდებულებას (მაგალითად, განულებული ტურიზმი), მძიმე ეკონომიკურ პირობებშიც კი გაუძლოს.

2013-2019 წლებში მიღწეული ეკონომიკური ზრდა კიდევ უფრო მდგრადი და ცალსახად პოზიტიური იქნებოდა, მასში მნიშვნელოვანი წვლილი კერძო სექტორის საგარეო ვალისა და სახელმწიფო ვალის ზრდას რომ არ შეეტანა. საქართველოს საქონლისა და მომსახურების საგარეო ვაჭრობაში უარყოფითი ბალანსი აქვს, რასაც ემიგრანტების გადმორიცხული ფულით, უცხოური ინვესტიციებით და ახალი საგარეო ვალების აღებით აბალანსებს. პანდემიამ კიდევ უფრო გაართულა სავალო მდგომარეობა და 2021 წელს მთავრობის ვალი კრიტიკულ დონეს, მშპ-ის 60%-ს გადასცდა. ქვეყნის მთლიანი საგარეო ვალი კი უკვე მშპ-ის 107%-ია და ისევ მატულობს. ასეთი დავალიანება ქვეყნის ეკონომიკას საგარეო შოკებისა და ლარის კურსის მერყეობის მიმართ უფრო მეტად სუსტს ხდის.

მიუხედავად იმისა, რომ 2020 წლის ვარდნა ძირითადად პანდემიის ბრალია, 2020 წელს ან მომდევნო წლებში მაღალი ეკონომიკური ზრდა, სამუშაო ადგილებისა და შემოსავლების სწრაფად ზრდა მოსალოდნელი არ იყო, რადგან საქართველოს ეკონომიკური განვითარების შემაფერხებელი ფუნდამენტური პრობლემები თუ უარესდება, თორემ არ უმჯობესდება, ესენია: განათლების დაბალი დონე, სასამართლო სისტემა, საერთაშორისო ლოგისტიკის შეზღუდულობა და რუსული ოკუპაცია.

აქვე მაგალითისთვის დავურთავ საქასტატის კვლევას მოსახლეობის თვიური ფულადი და არაფულადი სახსრების .


მოსახლეობის საშუალო თვიური ფულადი და არაფულადი სახსრები
1 400
1 200
1 000
800
600
400
200
0
745.2
830.7
933.7
1 035.9
1 080.2
1 126.8
1 181.9
1 187.2
1 251.3
1 194.6
2011
2012
2013
2014
2015
2016
2017
2018
2019
2020

დასკვნა

შექმნილ მძიმე ეკონომიკურ ვითარებაში სახელმწიფოს სულ რამდენიმე ბერკეტი აქვს ეკონომიკის განვითარების მხარდასაჭერად. არსებობს პირდაპირი და არაპირდაპირი მექანიზმები, რომლებიც უწინარესად სახელმწიფოებრივ დონეზეა გამოსაყენებელი და, შესაბამისად, უნდა აისახოს ქვეყნის ყველა რეგიონზე. რეკომენდაციები გულისხმობს მოკლევადიან და გრძელვადიან ეფექტზე გათვლილი ღონისძიებების გატარებას, რადგან მომავალში, კოვიდის პანდემიის შემდგომ მსოფლიოში, დიდი ალბათობით, ბევრ საკითხს 2020 წელს შექმნილი მოცემულობები და ტენდენციები განსაზღვრავს. რეაგირების პირდაპირი მექანიზმია დახმარებების გაცემა უმუშევრად დარჩენილი მოქალაქეებისთვის, რაც, სოციალური დატვირთვის გარდა, ეკონომიკაში ფულის „ჩაშვების“ ეფექტსაც მოიცავს და მოთხოვნის გენერირებას უწყობს ხელს; ასევე - ერთჯერადი კომპენსაციები, დახმარება ბიზნესს, შეღავათები კრედიტებზე, ტარიფების სუბსიდირება და ა.შ., რომელთა შესახებაც დეტალურად არის მოთხრობილი დოკუმენტში „მთავრობის ანგარიში ხალხს 2020“ (2020 წლის დეკემბერი); თუმცა ყველა ეს გადაწყვეტილება მოკლევადიანი ეფექტის მქონეა, ცეცხლის ჩაქრობის დატვირთვა გააჩნია და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია - რესურსი ამოუწურავი არ არის. 2020 წელს საერთაშორისო დონორებთან მიღწეული იყო შეთანხმება დაახლოებით 1,9 მილიარდი აშშ დოლარის გამოყოფაზე. თუმცა, ამის მიუხედავად, ქვეყანას ვალის მოცულობის 60%-მდე გაზრდა მოუხდა. ამ მასშტაბის ვალის პირობებში ეს გზა, განსაკუთრებით 2021 წლისთვის, საკმაოდ რთული და სახიფათოა; შესაბამისად, რეკომენდაციები, რომლებსაც ამჯერად წარმოვადგენთ, სოციალური COVID 19-ის დახმარებების გაცემისა და ერთჯერადი კომპენსაცია-სუბსიდირების საკითხებს აღარ მოიცავს, უფრო გლობალური გადაწყვეტილებების მიღების აუცილებლობაზე მიგვითითებს, მათ შორის გრძელვადიანი პერსპექტივისთვის. მოკლევადიანი და სწრაფი რეაგირების ფარგლებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ადგილობრივ დონეზე სოციალური საჭიროებების სწრაფი შეფასება, რათა ჩვენი ქვეყნის მოქალაქეების გარკვეული ნაწილი არ აღმოჩნდეს შიმშილის ზღვარზე და ბავშვები - საკვების გარეშე. ამას გარდა, მნიშვნელოვანია ადგილობრივი ხელისუფლება აცნობიერებდეს ადგილობრივ მეწარმეთა ხელშეწყობის აუცილებლობას და, შესაძლებლობის ფარგლებში, ხდებოდეს მათი ლოჯისტიკური მხარდაჭერა (მაგალითად, როცა რეგიონის მოსახლეობა ვერ ახერხებს საზღვრების ჩაკეტვის გამო პროდუქციის მიწოდებას ბაზარზე გასაყიდად) და ა.შ. მკაცრი ლოქდაუნის მსოფლიო პრაქტიკამ აჩვენა, რომ ეს არ არის გამოსავალი არც ჯანდაცვის თვალსაზრისით, რადგან შეკავების პოლიტიკას უცილობლად მოჰყვება სახიფათო აფეთქებები, და, მეორე მხრივ, ეს პოლიტიკა საკმაოდ მძიმედ აისახება ეკონომიკაზე. ამიტომ ხელისუფლებამ ყველაფერი უნდა გააკეთოს მსგავსი პოლიტიკის თავიდან ასაცილებლად. ამის

ნაცვლად შექმნას მოტივირების მექანიზმები დისტანციური საქმიანობისთვის იქ, სადაც ეს შესაძლებელია, მკაცრად გააკონტროლოს და დაიცვას ზოგადი გაცხადებული წესები;

მოკლევადიანი ეფექტისთვის ერთ-ერთი ყველაზე არსებითი გადაწყვეტილებაა ჯანდაცვის სისტემის სწრაფი გაძლიერება პანდემიის მართვის მიზნებისთვის; აგრეთვე - საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარება ამ კუთხით; დიდი ძალისხმევა უნდა მოხმარდეს ქვეყანაში ვაქცინის შემოტანას და მასთან დაკავშირებული მითების წინააღმდეგ საზოგადოების სწორ ინფორმირებას - ამით ჯანდაცვის სისტემის მდგრადობამ და ვაქცინით შექმნილმა იმუნიტეტმა უნდა უზრუნველყოს ქვეყანაში ისეთი წინაპირობის შექმნა, რომელიც გამორიცხავს დამატებით, სუბიექტურ ფაქტორებს ეკონომიკის შეფერხებისთვის, მაგალითად, ხელისუფლების მიერ ეკონომიკის ჩაკეტვის გადაწყვეტილებებს.

covid - 19 პანდემიის პერიოდში კარგად გამოჩნდა ისიც, რომ განსაკუთრებით აქტუალურია ადგილობრივ დონეზე ჯანდაცვის პირველადი რგოლის გამართული მუშაობა, მეტი ძალისხმევაა გასაწევი ადგილობრივი სამედიცინო პერსონალის სათანადოდ მოსამზადებლად. მნიშვნელოვანია აგრეთვე რეგიონებში მსხვილი სამედიცინო ცენტრების გაძლიერების, თანამედროვედ აღჭურვისა და ბიზნესის ამ კუთხით წახალისების ხელშეწყობა, რათა მსგავს კრიზისულ სიტუაციებში სამედიცინო დახმარების მიღება ხელმისაწვდომი იყოს რეგიონულ ცენტრებში. უნდა დაჩქარდეს ინფრასტრუქტურული სამუშაოები, რაც ეკონომიკის ხელშეწყობის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტიანი გზაა - ეკონომიკის ვარდნის პირობებში, წესით, სწორედ ამ გზით ხდება ახალი დამატებითი ღირებულების და სამუშაო ადგილების შექმნა; ამიტომ კრიზისულ პერიოდში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ინფრასტრუქტურული პროექტების ტემპის არათუ შენელება, არამედ დაჩქარება და საერთაშორისო გზატკეცილებისა თუ ნავსადგურების და ა.შ. პროექტების დაფინანსება; ამასთან, ინფრასტრუქტურის განვითარება - იქნება ეს საერთაშორისო თუ ადგილობრივი მასშტაბის - თავის მხრივ, საერთაშორისო თუ ადგილობრივი ინვესტიციების მოზიდვის წინაპირობაა, პერსპექტივაში მაინც. 2020 წელმა და პანდემიამ კიდევ ერთხელ გამოავლინა, რომ გადაუდებელი ამოცანაა ქვეყანაში ტექნოლოგიების, შიდა და საერთაშორისო ლოჯისტიკის, განათლების ხელშეწყობა - რათა მთავრობის მოწოდება ბიზნესისთვის, რომ ე.წ. „ჩაკეტვის“ პირობებში საქმიანობა ელექტრონულად და ონლაინ გაეგრძელებინათ, გამყარებულიყო შესაბამისი ლოჯისტიკური სტრუქტურების ფუნქციონირებით, მათ შორის გამართული საფოსტო მომსახურებით, ელექტრონული გადახდების აწყობილი სისტემებით... რაც მთავარია, საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რომ არსებობს ასეთი შესაძლებლობები. ტექნოლოგიური უნარების ამაღლება და საერთაშორისო კომერციის შესახებ ცოდნის აკუმულირება ბიზნესსა და მომხმარებელში მსგავსი

პანდემიების დროს (და არა მხოლოდ) ეკონომიკური გადარჩენის ერთ-ერთი გადამწყვეტი ბერკეტია; ლოჯისტიკის უზრუნველყოფა განსაკუთრებით აქტუალურია ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისთვის იმ პირობებში, როცა მსოფლიო გლობალური ეკონომიკის პრინციპებით მუშაობს და პანდემიამ კიდევ ერთხელ აჩვენა, რა შეიძლება მოიტანოს ადამიანთა თავისუფალი გადაადგილების შეზღუდვამ ეკონომიკური თვალსაზრისით. რეგიონებს შორის ტვირთბრუნვისთვის და, რაც მთავარია - გლობალურ ვაჭრობაში აქტიურად ჩართვისთვის დიდი ძალისხმევაა საჭირო. ამ თვალსაზრისით საინტერესო შეიძლებოდა ყოფილიყო საქართველოში მსხვილი საერთაშორისო სავაჭრო პლატფორმების - ჰაბების შექმნის ინიცირება და ამ პროექტებისთვის ინვესტიციების მოსაზიდად აქტიური ძალისხმევის გაწევა, ასევე - ქართული საექსპორტო პროდუქციისთვის უცხოეთში სასაწყობო ჰაბების უზრუნველყოფა ბიზნესთან თანამშრომლობით, ქართული კომპანიებისთვის საერთაშორისო ონლაინ-პლატფორმებზე გასვლის ხელშეწყობა და სხვა. ამ და მსგავსი საკითხების, ისევე, როგორც ყველაფერ ამისთვის ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობის უფლებამოსილება და შესაძლებლობები საქართველოს ტიპის ცენტრალიზებულ სახელმწიფოში ძირითადად ცენტრალური ხელისუფლების პრეროგატივაა. თუმცა ადგილობრივ ხელისუფლებას საინტერესო და ინოვაციური იდეებით შეუძლია საკუთარი რეგიონის კონკურენტუნარიანობის ამაღლება - არა მხოლოდ ტურიზმის სფეროში, რაზეც უპირველეს ყოვლისა და ყველაზე ხშირად კეთდება აქცენტი. ამ პოლიტიკამ სწორედ 2020 წელს აჩვენა, და მანამდე რუსეთის მიერ გამოცხადებული ტურისტული „ბლოკადის“ დროსაც, რამდენად მყიფეა ტურიზმთან და ზოგადად ერთ სფეროსთან დაკავშირებული ეკონომიკური ფსონები. სანაცვლოდ, შესაძლოა პერსპექტიული იყოს რეგიონებში სწორედ ლოჯისტიკური ჰაბების, საგანმანათლებლო ცენტრების, მაღალტექნოლოგიური იდეების განვითარების სივრცის, თუნდაც კონკრეტული ტიპის ჯანდაცვის მომსახურებების მიმართულების განვითარება და შეთავაზება როგორც ქვეყნისთვის, ისე საერთაშორისო ინვესტორებისა და მომხმარებლისთვის.

ბიბლიოგრაფია :

1. https://www.unicef.org/georgia/media/4741/file/COVID-19-Study-Analytical-Report-1-st-2nd-and-3rd-waves-Geo.pdf
2. https://on.ge/story/7412.433-covid-19-%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%90-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1-%E1%83%94%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90%E1%83%96%E1%83%94-%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%92%E1%83%98%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%A3%E1%83%9A-%E1%83%AD%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%A8%E1%83%98
3. https://conferenceconomics.tsu.ge/?mcat=2&cat=pers1&leng=ge&adgi=1241&title=%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%98%E1%83%97%20%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%AC%E1%83%95%E1%83%94%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%9D%20%E1%83%94%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%9E%20%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%20%E1%83%93%E1%83%90%20%20%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%93%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98%20%E1%83%9E%E1
4. https://www.geostat.ge/ka
5. https://www.moh.gov.ge/uploads/files/2020/Failebi/akordeoni/axali_korona/saqartvelos hi_Vaqcinis_danergvis_erovnuli_gegma.pdf
6. დასაქმებულთა კვლევა პანდემიის ფონზე

   https://docs.google.com/forms/d/1_x4L3oK5OFuGIl0qf9eXk1XEgp2zNXxoWLDgZUAPgVU/edit